



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

მითვისებისთვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სუდენტი:

იაკობ მაისურაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2019

შ ი ნ ა ა რ ს ი

ანოტაცია	3
Annotation	4
ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	5
შესავალი	7
თავი I. მითვისების თავისებურებების ზოგადი მიმოხილვა და მცირე ისტორიული ექსკური	10
თავი II. მითვისების ობიექტურ შემადგენლობა.....	31
თავი III. მითვისების სუბიექტური შემადგენლობა.....	38
თავი IV. მითვისების სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნისა და კვალიფიკაციის პრობლემები.....	41
კვლევის შედეგები.....	54
დასკვნა.....	56
გამოყენებული ლიტერატურა.....	59

ანოტაცია

წინამდებრე ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია აკადემიური პრობლემის აღწერასა და გადაჭრის გზების გამოვლინებასთან, რაც განხორციელებულია სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასაწყისში წარმოდგენილია საკვლევი თემის, როგორც უკვე დასრულებული ნაშრომის მოკლე აღწერილობა. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის“, საკითხის ირგვლივ პრაქტიკაში არსებული ასპექტების დადგენა და ინტერპრეტაცია, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა მოქცეულია საზოგადოების ყურადღებისცენტრში.

ნაშრომის დასწყისში მოკლედაა მიმოხილული ის ლიტერატურა, რაც გამოყენებული მქვს კვლევის დროს.

სტრუქტურულად, ნაშრომი შედგება: შესავალის, ძირითადი ნაწილისა, და დასკვნისაგან.

- შესავალში განსაზღვრულია ის მიზნები და ამოცანები, რამაც განაპირობა საკვლევი თემის შერჩევა, მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.
- ნაშრომის ძირითადი ნაწილის პირველი თავი შეეხება მითვისების, როგორც დანაშაულის თავისებურებებს.
- ძირითადი ნაწილის მეორე თავი ეხება მითვისების, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი სახის შემადგენლობას.

- მესამე თავში გადმოცემულია, სუბიექტური მხარის პრობლემები.
- მეოთხე თავში კი გაანალიზებულია მითვისების სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნისა და კვალიფიკაციის პრობლემები.

თემის დასკვნითი ნაწილი შეეხება საბოლოო ანალიზს შედეგებთან დაკავშირებით.

Annotation

The present paper is the work done by me individually, which is connected to description of academic problems and detection of settlement ways using the different methods and approaches.

At the beginning, the paper represents a brief description of the research topic as already-completed thesis. The research object of the master thesis is “Criminal Responsibility for Misappropriation”, determination and interpretation of relevant practical aspects around the subject, because it can be said with confidence that the mentioned problem is placed under public scrutiny.

The beginning of the paper briefly describes the literature I have applied in my research.

Structurally the paper consists of: introduction, main part and conclusion.

- The introduction defines the goals and tasks conditioning the selection, actuality, theoretical and practical significant of the research topic.
- The first chapter of the main part of the paper refers to misappropriation as the peculiarities of a crime.
- The second chapter of the main part refers to misappropriation as composition of one of the crimes.
- The third chapter describes the problems of subjective side.
- The fourth chapter analyzes the disintegration of misappropriation from the other crimes and problems of qualification.

Conclusive part of the topic refers to a final analysis in connection to the outcomes.

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

წარმოდენილ საკვლევლევ თემაში, მიზნებსა და ამოცანებში წამოყენებული მოსაზრებების გაანალიზებისათვის გამოყენებული იქნა არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის შეხედულება „მითვისების“ სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. ასევე, განხილული მაქვს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სამართალწარმოებისას ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულებები.

მითვისების ობიექტური შემადენლობის განხილვისას გამოვიყენე ქართველი მეცნიერების ნაშრომები (მ. ლეკვეიშვილი; ნ. თოდუა; ნ. გვენეტაძე; გ. მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი 1,(2016), ასევე მ. ლეკვეიშვილი; გ. მამულაშვილი პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი)).

ამ სახელმძღვანელოების მეშვეობით საშუალება მომეცა გავრკვეულიყავი მითვისების დანაშაულის არსში. ასევე გაანალიზებული მაქვს სასამართლო პრაქტიკა მეცნიერების (ო. გამყრელიძე და სხვები;ავტორთაკოლექტივი) „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი“-ს, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, მიხედვით.

მეცნიერი დ.იაკობიძის ნაშრომი„ფარული მითვისება და ქურდული სუბკულტურა (2018)“, მუშაობისას დამეხმარა მითვისების, როგორც დანაშაულის სამართლებრივი სახის განსაზღვრაში და მისი ქურდობისგან განმასხვავებელი ნიშნების დადგენაში.

თემაზე მუშაობისას გავეცანი როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან სტატიებს.ასევე საინტერესო დახმარება გამინია აღნიშნულ საკითხში გარკვევაში

სოფიო ასანიძის დისერტაციამ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კრიმინოლოგიური დახასიათება.“

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ლიტერატურის შესწავლის გზით მივიღეარამხოლოდ დასმულ საკითხზე არსებულ კითხვებზე პასუხები, არამედ მივიღე ისეთიინფორმაციები, რომელიცუდაოდ დამეხმარა და დამეხმარება კვლავაც პროფესიონალიზმის ამაღლებაში.

ხსენებული სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების დამსახურებითაა დასრულებულ კვლევაში მიღწეული დასახული მიზანი, იმდენად, რამდენადაც ნაშრომში დასახუთებულია მითვისების დანაშაულის დასჯადობის საფუძვლი, მისი სამართლებრივი ბუნება და მეტ-ნაკლებად ყველა ის ასპექტი რაც დაკავშირებულია პრობლემასა და მის გადაჭრის გზებთან, კვლევის როლთან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისთვის.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოსთვის პრიორიტეტულია ადამიანის უფლებათა დაცვა, რადგან თვით ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ცხოვრება, თავისუფლება, ქონების ხელშეუხებლობა, ღირსება და სხვა) გამოირჩევა მაღალი ღირებულებით. ამ უფლებების (ღირებულებების) დაცვა კი სახელმწიფოს ვალდებულებაა, რასაც სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა გზით, მათ შორის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესების მეშვეობით¹. აღნიშნული წესები კი ადამიანთა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე განიცდიდნენ და განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს, რასაც პრაქტიკულად ვუნოდებთ სისხლის სამართლის რეფორმას და ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია კოდიფიცირების საკითხი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ნორმატიული კონცეფცია, რის საშუალებითაც იხვეწება და ახლებურად წარმოჩინდება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი. მიუხედავად ხსენებულისა, სახეზეა ფაქტი, რომ კერძო ნაწილის ნორმების სრულყოფის საკითხი დღემდე რჩება ღიად, რადგან თავების განლაგების კრიტერიუმების შეცვლამ არსებითად არ იმოქმედა კერძო ნაწილის ნორმების კონსტრუქციებზე. ამასთან, არაა გამოკვეთილი კანონმდებლის კონკრეტული პოზიცია საკითხთან მიმართებაში, რადგან მრავალი ნორმა იმპორტირებულია/იმპლანტირებულია რუსეთის

¹გ. ტყეშელაშვილი. განზრახ მკვლევლობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია. თსუ 2019, გვ. 2

კანონმდებლობიდან, ხოლო ნაწილი კი – ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პირმშოა.

არსებულ სიტუაციაში სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე კვლავ დგება კერძო ნაწილის ნორმების გააზრების პრობლემა და ამის შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დახვეწილი კანონების განსაზღვრის აუცილებლობა. ამ მიმართულებით გამონაკლისს არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ემუხლი “მითვისება და გაფლანგვა”.

თემის აქტუალობას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას საკუთრების დაცვის მექანიზმების გააზრება და მასში არსებული პრობლემების წარმოჩენა, რადგან დღევანდელი მოცემულობით სახეგა „საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი“-ს დარღვევის უამრავი მაგალითი. თემის აქტუალობის ნიშანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ თავისი იურიდიული ბუნებით მითვისება მიეკუთვნება, მეტნაკლებად საკამათო სახესხვაობების ქონებრივ დანაშაულთა რიცხვს, რისი დასტურიცაა საკითხთან დაკავშირებული, თეორიასა და პრაქტიკაში არაერთგვაროვანი შეხედულებების არსებობა, რაც თავისთავად ხელს უშლის სასამართლო პრაქტიკაში ნორმების მკაფიო და ზუსტ შეფასებას. აღნიშნული კი საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის მყარი ნორმატიული საფუძვლების გამოყენებაზე იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო კონსტრუქციები სხვისი ნივთის ან ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისების ან გაფლანგვისათვის (როდესაც ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან განმგებლობაში) გვევლინება სამართლის ისტორიული განვითარების პროდუქტად, რომელიც ვლინდება ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოცემულობის დახვეწა, რომ უფრო ზუსტად მომხდარიყო მითვისების (რომელიც არ ხდება ანგარების გარეშე) ბუნების განსაზღვრა, რადგან ამ დანაშაულის ჩადენა

ხდება სამართალბრუნვის ვალდებულებით სფეროში და დაკავშირებულია უშუალოდ ქონების სხვა პირისადმი გადაცემასთან საკუთრების უფლების გარეშე. მოცემულ სიტუაციაში კი ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულები (უშუალოდ მითვისება) იყოს გამონაკლისი, რაც ფაქტობრივად თემას სძენს ასევე აქტუალობას.

თემის მიზანს წარმოადგენს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსართლებრივ პასუხისმებლობასთან დაკავშირებული (ანუ სასჯელის დანიშვნის საშუალებით მითვისებული ქონების დაცვასთან დაკავშირებული) პრობლემების წარმოჩენა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

ამოცანები სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ძირითადი შემადგენლობის ანალიზი; მითვისებისა და მომიჯნავე შემადგენლობების განსხვავების სკიოზის გააზრება; საზღვარგარეთის ქვეყნების თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემატიკის შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევის განხორციელება;

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში, საკვლევი თემის პრობლემის გაანალიზებისას გამოყენებულია: ისტორიული, ნორმატიული, შედარებით-სამართლებრივ, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მეთოდები. კვლევის პროცესში ფართოდ არის გამოყენებული სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვა დარგების მონაცემები, როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერ-იურისტების ნაშრომები. „ისტორიული მეთოდი“ დამეხმარა დამენახა გასულ საუკუნეებსა და ახალანდელ დროში, მითვისების ფორმებს შორის სხვაობა. რაც შეეხება „შედარებით“ მეთოდს, აღნიშნულმაც ასევე ითამაშა გარკვეული მნიშვნელოვანი როლი სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით დანაშაულის არსში გარკვევისთვის.

კვლევის თეორიული საფუძველი

ნაშრომი შესრულდა ძირითადად კაბინეტური კვლევის მეთოდით. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა, თეორიული ხასიათის გამოკვლევები (მონოგრაფიები, სტატიები და. აშ).

თავი I. მითვისების თავისებურებების ზოგადი მიმოხილვა და მცირე ისტორიული ექსკურსი

დანაშაულის საგანი არის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მატერიალური ნივთი, რომელზეც ზემოქმედების გზითაც დამნაშავე ხელყოფს დანაშაულის ობიექტს.²

ამ საკითხის მიმართ როგორც მეცნიერებაში, ასევე კანონმდებლობაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. რუსეთში მოღვაწე მეცნიერის ა.ბაქრაძის აზრით, მითვისების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ნივთი, ე.ი. მატერიალური სამყაროს საგანი, რომლის შექმნაში ჩადებულია ადამიანის შრომა და რომელსაც მატერიალური თუ სულიერი ღირებულება გააჩნია; აგრეთვე ფული და ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ადამიანის შრომის განივთებულ ექვივალენტად გვევლინებიან. ავტორის აზრით, სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, მითვისების საგანი არ შეიძლება იყოს ნივთები, თუნდაც ობიექტური ღირებულების მქონენი, თუ ისინი არ არიან შექმნილი ადამიანის შრომით. მაგალითად, ბუნებრივი სიმდიდრეები

²გ.ტყემელიაძე და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომც. "მერიდიანი" თბ., 2007, გვ. 113.

შეიძლება წარმოადგენდნენ ეკოლოგიური დანაშაულობის ან ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის საგანს, მაგრამ ისინი არ შეიძლება იყოს მითვისების საგანი. ა.ბაქრაძეს შრომის პროცესი ესმის როგორც მხოლოდ წარმოება. შრომის ამ გაგებიდან გამომდინარე იგი თვლის, რომ თვითნაბადი ოქრო, რომელიც პირმა მიითვისა დაქირავებული ბინიდან, სადაც მესაკუთრე მას რელიქვიის სახით ინახავდა, არ უნდა ჩაითვალოს მითვისების საგნად. ამ პოზიციის გასამყარებლად ა.ბაქრაძეს მოჰყავს კ.მარქსის სიტყვები: “ყველა საგანი, რომელიც შრომამ უნდა მონყვიტოს მიწასთან მის უშუალო კავშირს, არის ბუნებით ბოძებული შრომის საგნები. მაგ.: თევზი, რომელსაც იჭერენ... ხე, რომელსაც ჭრიან უღრან ტყეში, მაღანი, რომელსაც იღებენ მიწის წიალიდან”.³

ჩემი აზრით, ა.ბაქრაძის მიერ მოტანილ მაგალითთან დაკავშირებით კ.მარქსის ციტატა არასწორად არის მოხმობილი, რადგან მართალია, თვითნაბადი ოქრო არ არის მართო წარმოების შედეგი, მაგრამ ის შრომის შედეგია, რადგან ნივთის გადმოტანაზე, შენახვაზე და ა.შ. დახარჯულია შრომა. ამიტომ, აღნიშნული ნივთი, როგორც შრომის ნაყოფი, შეიძლება წარმოადგენდეს მითვისების საგანს.

ამავე მეცნიერის აზრით: მითვისების საგნად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა ზედნადებები, ქვითრები და სხვა საბუთები, რომლებიც იძლევა ქონების მიღების უფლებას. მართალია, ისინი თვითონ არაფიზიკური მატერიალური ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ საბუთების მართლსაწინააღმდეგო ფლობა, მათი საშუალებით სხვისი ქონების მიღების მიზნით, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მითვისების მომზადება.⁴ ეს მოსაზრება სადავოა შემდეგი მიზეზის გამო: თუ პირი უკანონოდ დაეუფლა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, ბეჭედს, შტამპს და ა.შ., რათა შემდგომში მათი გამოყენებით მისაკუთროს სხვისი ქონება, ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს მითვისებად. ეს არის პირობების შექმნა სხვისი ქონების მოტყუებით დასაუფლებლად, ანუ ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება თაღლითობის

³ ნ.თევდორაძე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ.10-11

⁴ А.А. акрадэ Присвоение и растрата как формы хищения». - Российский следователь». №8. 2004.

<http://www.lawmix.ru/comm.php>

მომზადებასთან. ბეჭედი, შტამპი, სააქციზო მოსაკრებლის მარკები და ა.შ., თავისთავად აღებული არ წარმოადგენენ არც მატერიალური ღირებულების მქონე ნივთს და არც ქონებრივ უფლებას. ამიტომ ისინი არ შეიძლება იყოს მითვისების საგანი.

საბუთების ზოგიერთი სახეობები, რომლებიც რაიმე დამატებითი გაფორმების გარეშე გარკვეულ ქონებრივ უფლებებს წარმოადგენენ (მაგ., სამგზავრო ბილეთები, სანვაგ-საცხები მასალების ტალონები და სხვა), უნდა განიხილებოდეს როგორც მითვისების საგანი. ამასთან, მითვისებისა და გაფლანგვის საგანი არ შეიძლება იყოს უძრავი ნივთი.⁵

მითვისების საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე ფული (ვალუტა), სავალუტო ფასეულობები და ფასიანი ქაღალდები. პირველ მათგანს მიეკუთვნება: უცხოური ვალუტა, ფასიანი ქაღალდები უცხოურ ვალუტაში. მითვისების საგანია ძვირფასი ლითონები, ბუნებრივი ძვირფასი ქვები. ძვირფას ლითონებს მიეკუთვნება ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები, ხოლო ძვირფას ქვებს - ბუნებრივი ალმასი, ზურმუხტი, ლალი, საფირონი, ალექსანდრიტი, ბუნებრივი მარგალიტი და ა.შ. ძვირფას ქვებს უტოლებენ ქარვის უნიკალურ წარმონაქმნებს.

მითვისების საგანი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდები, ე.ი. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ქონებრივ უფლებებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ფასიანი ქაღალდებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ობლიგაცია, ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, დეპოზიტური და შემნახველი სერთიფიკატები, საბანკო შემნახველი წიგნაკი წარმომდგენზე, კონოსამენტი, აქცია, პრივატიზებული ფასიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონებით ან მათ მიერ დადგენილი წესით მიკუთვნებული არიან ფასიანი ქაღალდებს.

ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს წარმომდგენზე (მაგ., მომგებიანი ლატარიის ბილეთი ან წარდგენითი ობლიგაცია), სახელობითი (აქცია) და ორდერული (თამასუქი). გარდა ამისა, კანონმდებლობა განასხვავებს დოკუმენტალურ და არადოკუმენტალურ (“უქაღალდო”) ფასიანი ქაღალდებს.

⁵იქვე. 2004.

<http://www.lawmix.ru/comm.php>

სსკ-ის 182-ე მუხლთან მიმართებით უნდა შევეხოთ არაკანონიერად მოპოვებული ძვირფასი ლითონისა და ძვირფასი ქვების მითვისების საკითხს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დანაშაულის საგანია სხვისი ნივთი, რომელიც იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში. როგორ უნდა გავიგოთ ცნება “სხვისი”, თუ მითვისებულია მოპარული ნივთი? დაუშვათ, ნივთი ე.წ. მესაკუთრემ მოიპარა, რის შესახებაც მიმთვისებელმა არ იცის ასეთ შემთხვევაში შეიძლება თუ არა ქმედების 182-ე მუხლით დაკვალით იცირება? მოპარული ძვირფასი ლითონი ბინის დამქირავებელს ჰქონდა მართლზომიერ მფლობელობაში. ამიტომ მითვისების შემადგენლობა მაინც სახეზეა, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი მესაკუთრე ამ შემთხვევაში არის არა გამქირავებელი, არამედ სხვა. “სხვისი” ამ შემთხვევაში გულისხმობს ზოგადად მესაკუთრეს. თავად მესაკუთრის პასუხისმგებლობის საკითხი სცილდება განსახილველ პრობლემას, რის გამოც მასზე არ შევჩერდები.

182-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციისაგან განსხვავებით მითვისებისა და გაფლანგვის საგანია არა მარტო მოძრავი არამედ უძრავი ნივთიც, ასევე სხვისი ქონებრივი უფლება, ეს ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონით იქნა შეტანილი, რითაც ფაქტობრივად წაიშალა ზღვარი მითვისებასა და თაღლითობას შორის, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. პირმა შეიძლება მიითვისოს მარტო მოძრავი ნივთი და იბატონოს მასზე როგორც საკუთარ ნივთზე. მაგრამ შეუძლებელია პირმა ისევე განკარგოს უძრავი ნივთი, როგორც მოძრავი. ქონებრივი უფლება პირმა შეიძლება მიიღოს, მაგრამ მას არ შეუძლია მასზე ისეთივე ბატონობა, როგორც მოძრავ ნივთზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონილად მიგვაჩნია მითვისების საგნად ქონებრივი უფლების მიჩნევა, ასეთ შემთხვევაში თაღლითობისა და მითვისების გამიჯვნის ზღვარი იშლება როგორც ეს არის მაგალითად იტალიის და ინგლისის კანონმდებლობაში.⁶

განსახილველი ქმედების იურიდიული ბუნების სწორად გააზრება შეუძლებელია საკითხის ისტორიის სრულყოფილი შესწავლის გარეშე. ჩვენ არ

⁶ Уголовное право зарубежных Государств (особенная часть).М. <<Комрон>>. 2004.,С.413-417

გგულისხმობთ მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის განვითარების ისტორიას, შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ მითვისების შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სამართლებრივი აზრის განვითარება რომის სამართლიდან დაწყებული დღემდე. საკმაოდ დაწვრილებით მოგვიხდება რუსეთის სისხლის სამართლის ისტორიული მიმოხილვა. ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა საბჭოური კანონმდებლობის განვითარების პირმშოა. ამიტომ ამ საკითხზე რუსეთის სისხლის სამართლის ისტორიული მიმოხილვა შესაძლებლობას გვაძლევს სრულყოფილად გავაანალიზოთ განსახილველი ქმედების თავისებურებები, გავარკვიოთ, რამ განაპირობა მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების გახლეჩვა ორ “ფორმად” - მითვისებად და გაფლანგვად.

მართლსაწინააღმდეგო მითვისების შემადგენლობა ცალკე კატეგორიის სახით სისხლის სამართლის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ყალიბდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში მითვისებას საერთოდ არ თვლიდნენ დანაშაულად, ზოგან კი ქურდობისა და თაღლითობისაგან არ განასხვავებდნენ.

მითვისების ინსტიტუტი ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის. მითვისება (furtum) განისაზღვრებოდა როგორც სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო, ანგარებითი ფარული განკარგვა. რომის სამართლის მიხედვით, ნივთი უნდა იმყოფებოდეს მართლზომიერ მფლობელობაში (depozitum). ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდათ დავალების ხელშეკრულება (mandatum), როგორც მართლზომიერი მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი.⁷

საფრანგეთის სამართალი მართლსაწინააღმდეგო მითვისებას დიდხანს არ ცნობდა დანაშაულად, იგი მხოლოდ 1791 წელს გამოაცხადა სისხლის სამართლით დასჯად ქმედებად. ამ ცვლილების შედეგად პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა შესანახად მინდობილი ქონების მითვისების შემთხვევებზე. 1832 წლის 28 აპრილის კანონმა დანაშაულად გამოაცხადა იმ ნივთების მითვისება, რომლებიც მიცემული იყო სესხად, დავალებისთვის და რაიმე სამუშაოს შესასრულებლად.

⁷ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 17-18

ისტორიულად გარკვეული პრობლემები შეიმჩნეოდა ინგლისის სისხლის სამართალშიც. ინგლისის კანონმდებლობა დიდხანს არ განასხვავებდა მითვისებას ქურდობისაგან, რის გამოც წარმოიქმნებოდა პრობლემები დანაშაულის კვალიფიკაციის დროს. ამ სიძნელეების დასაძლევად გამოქვეყნებული იყო კაზუსტიკური სტატიები იმის შესახებ, რომ:

- მსახურების მიერ იმ ყუთების, ძვირფასეულობის, ფულის, ნივთების და ძველმანების თავის სარგებლობაში მოქცევა, რომლებიც მათ ბატონებმა შესანახავად დაუტოვეს, არის felony;

- მსახურის მიერ იმ ნივთების მითვისება, რომლებიც მან თავის ბატონის სახელით მიიღო, ქურდობაა;

- ბანკირის, ვაჭრის, მაკლერის, ატორნის თუ სხვა აგენტის მიერ ფულის ან კრედიტივის, ან კრედიტივით, რაღაც გარკვეული მიზნისთვის გადაცემული ფულის თავის სარგებლობაში მოქცევას, მოსდევს პასუხისმგებლობა ქურდობისათვის;

- შესანახავად მიღებული ნივთების სარგებლობაში მოქცევა, თუნდაც იმ საცავის გაუტეხავად, სადაც ბარგი ინახებოდა, ქურდობად ითვლება.

ამგვარად, ინგლისურ სამართალში მითვისება გაიგივებული იყო ქურდობასთან. ყველაზე ადრე მითვისება, როგორც დანაშაულის ნაირსახეობა, გამოიყო გერმანულ სამართალში. უკვე კაროლინა ითვალისწინებდა “სანდო ხელში” გადაცემული ქონების მითვისებისთვის ქურდობის ტოლფას სასჯელს, მაგრამ არ აიგივებდა ამ უკანასკნელთან. საერთო სამართალმა მითვისება გამოყო ქურდობისგან და ყველა გერმანული დებულება მას განიხილავდა, როგორც განსკუთრებულ, დამოუკიდებელ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ.⁸

რუსული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ანგარების მიზნით ნდობის ბოროტად გამოყენებისათვის. 1649 წლის ტაძრის დებულების მიხედვით, დამნაშავისათვის გადაცემულ საცავში ჩაკეტილი ბარგის მითვისება, მუშებისთვის სამუშაოს შესასრულებლად მიცემული მასალების, აგრეთვე გირაოს მითვისებაც კი “სამოქალაქო სიცრუედ” იწოდებოდა და მხოლოდ

⁸ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 18-20

სამოქალაქო – სამართლებრივი შედეგები მოსდევდა. პეტრე I-ის სამხედრო არტიკულებში (1716 წ.) მოიხსენიება უბრალოდ მითვისება (დამალვა), რასაც ქურდობასთან აიგივებდნენ: სახაზინო ქონების მითვისებად ითვლებოდა შემოსავალში მიღებული თანხის განზრახ შემცირება. მითვისების, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის განსაზღვრას, არტიკული არ იძლეოდა, მხოლოდ მოგვიანებით სენატის პრაქტიკამ დაიწყო მითვისების ცნების შემუშავება.⁹

1832 და 1842 წლების კანონთა კრებულმა მთლიანად გადმოიღო სამხედრო არტიკულების დებულებები და მითვისება ქურდობად მიიჩნია. 819-ე მუხლის მიხედვით, მითვისებად ითვლებოდა მხოლოდ ბარგის (ტვირთის) მითვისება. შემდგომში 1845 წლის დებულებებში მითვისების შემადგენლობა ცალკე ჩამოყალიბდა და მოხდა მისი განსხვავება ქურდობისაგან. ამასთან ერთად გაფართოვდა მითვისების შემადგენლობის ნიშნები. მითვისებად ითვლებოდა მოხმარებისთვის მინდობილი საგნების მითვისება.¹⁰

1857 წლის სისხლის სამართლის სჯულდებათა ტექსტუალურად აღადგინა ეს დებულებები, მაგრამ სასჯელების ნაწილში დაიწყო მითვისებისა და გაფლანგვის განსხვავება (177-ე მუხლი).

ამგვარად, რუსულ სისხლის სამართალში მითვისება (დამალვა), როგორც დანაშაული, პირველად მოიხსენიება რუსულ არტიკულებში, სადაც ის ქურდობასთანაა გაიგივებული. ეს დებულება გადადის კანონთა კრებულში და მხოლოდ 1845 წლის სისხლის სამართლის სჯულდება აცალკევებს მითვისებას ქურდობისაგან და აფართოებს მითვისების ცნების მოცულობას: დანაშაულის საგნად ითვლება შესანახად, მოსახმარად, გადასაზიდად და გადასატანად მინდობილი ყველა ნივთი.

მითვისების შემადგენლობამ თავისი განვითარება ჰპოვა 1885 წლისა და 1909 წლის სისხლის სამართლის სჯულდებაში. 1885 წლის სჯულდების განსაკუთრებული ნაწილის მეორე განყოფილება შეიცავდა ორ თავს. პირველ თავში - “სხვისი მოძრავი ქონების დაუფლება” მოცემული იყო დაუფლების ყველა ფორმის

⁹ იქვე. გვ. 20

¹⁰ იქვე. გვ. 20

ჩამონათვალი: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა და გამოძალვა. მეორე თავი “სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება”, ითვალისწინებდა მითვისების ორ სახეს: მინდობილი ქონებისა და ნაპოვნი ქონების მითვისებას.

ამგვარად, 1845 წლის სისხლის სამართლის სჯულდებამ საფუძველი ჩაუყარა მითვისების შემადგენლობას, 1885 წლის სჯულდებამ კი იგი გამიჯნა სხვისი მოძრავი ქონების დაუფლების სხვა სახეებისგან.¹¹

საბჭოთამდელი რუსეთის სისხლის სამართლის თეორია სერიოზულად იკვლევდა საკითხს: რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს სხვისი ქონება დამნაშავეს საკუთრებაში მოქცეულად? ამ საკითხს სირთულეებს უქმნიდა მეცნიერებაში არსებული შეხედულებები მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯნის შესახებ. თუმცა 1845 და 1857 წლების სისხლის სამართლის სჯულდება არ განასხვავებდა მითვისებასა და გაფლანგვას. გაფლანგვა ითვლებოდა სხვისი ქონების მითვისების ერთ-ერთ ფორმად. ეს პოზიცია მომდევნო რედაქციებში უფრო გამყარდა: მითვისება ნიშნავდა სხვისი ნივთის ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო დატოვებას, მესაკუთრისათვის ნივთის დაუბრუნებლობას. დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა იმ მომენტიდან, როდესაც დგებოდა ნივთის დაბრუნების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ნივთი პირმა თავის საკუთრებაში დაიტოვა თუ გაასხვისა, დახარჯა ან გაფლანგა. ამგვარად, ნივთის დაუბრუნებლობა მოიცავს მის თავისთან დატოვებასაც (თვით მითვისებას) და დახარჯვასაც (გაფლანგვას). როგორც ი.ფოინიკვი აღნიშნავდა, “ნივთის დაბრუნების შესახებ მეპატრონის მოთხოვნის შეუსრულებლობის მომენტი იქნება სწორედ დამნაშავეს საკუთრებაში კანონსაწინააღმდეგოდ მისი მოქცევა მითვისება იქნება მაშინაც, თუ კი დადგენილ ადგილას და დადგენილ დროში არ აღმოჩნდება სახეზე მინდობილი ნივთი (ხაზინადრის რევიზიისას სახაზინო ყუთში არ აღმოჩნდა მთელი თანხა ან მისი ნაწილი”.

ამგვარად, საბჭოთამდელი რუსეთის სისხლის სამართალი განასხვავებდა მითვისებას სხვისი ქონების დაუფლებისაგან. ამასთან დაკავშირებით დანაშაულის

¹¹ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმეგობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 20-21

ობიექტური მხარეც (მოქმედება და დანაშაულის დამთავრების მომენტი) სხვადასხვაგვარად ხასიათდებოდა. დაუფლებსას საკმარისი იყო ნივთის ფარულად ან აშკარად ხელში ჩაგდება იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩათვლილიყო. მითვისების დროს კი დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ნივთი დამნაშავის სასარგებლოდ მოექცეოდა. გაფლანგვა ითვლებოდა მითვისების ფორმად, უკვე მითვისებული ქონების განკარგვის ხერხად. გაფლანგვის თვით ფაქტი უკვე მეტყველებდა იმაზე, რომ ნივთი გამოყენებული იყო დამნაშავის ინტერესების შესაბამისად, რომელიც სხვის ნივთს განკარგავდა ისე, როგორც საკუთარს.

გაფლანგვის ასეთი გაგებიდან გამომდინარე, ლ.ს. ბელოგრიც-კოტლიარევსკი წერდა: “მითვისებას მიეკუთვნება სხვისი ნივთის არა მარტო გაფლანგვა ან დახარჯვა, ანუ მოხმარება, გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა და ა.შ., არამედ მისი თავისთან დატოვებაც...”¹²

და ბოლოს, კრიტიკულად უნდა შევაფასოთ ბელოკუროვის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის სჯულდება გაფლანგვის ცნებაში გულისხმობდა უფლების მითვისებას, მითვისების ცნებაში კი - ნივთის მითვისებას.¹³ ასეთ შეფასებას ვერ დავეთანხმებით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სისხლის სამართლის სჯულდება ყურადღებას ამახვილებდა მარტო ნივთის მითვისებაზე, მეორეც, ჩემი აზრით ქონებრივი უფლების მიღება ახასიათებს თაღლითობას და არა მითვისებას.

საბჭოთა სისხლის სამართალში მითვისებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა საბჭოთამდელი რუსეთის კანონმდებლობასთან შედარებით. სოციალისტური საკუთრების ხელყოფასთან, ბრძოლის საფუძველს 1917-1922 წლებში წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების დეკრეტები. მითვისებასა და გაფლანგვას ერთ-ერთი პირველი იხსენიებს ”რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალების შესახებ 1919 წლის 20 ნოემბრის დებულება”. დებულებაში ნახსენებია ” სამსახურში მინდობილი ქონების

¹² ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012. გვ. 23-24

¹³ О.В.Белокуров Проблемы квалификации хищения вверенного имущества. Ульяновск. 2003.

<http://allpravo.ru/library/doc101p0/instrum3374/item3378.html>

მითვისებისა და გაფლანგვის, შესაიარაღებელი საგნების... და სხვა სამხედრო ქონების მიტაცებისა და განიავების საქმეები”. მითვისებასა და გაფლანგვას დებულება მიაკუთვნებდა თანამდებობრივ ანგარებით დანაშაულთა კატეგორიას ისევე, როგორც თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ სახელმწიფო ქონების დაუფლებას.¹⁴

რსფსრ-ის 1922 და 1926 წლების კოდექსებმა პრაქტიკულად მცირეოდენი შესწორებებით (გამარტივებით) აღადგინეს 1885 წლის სისხლის სამართლის სჯულდების ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას მითვისებისათვის. რსფსრ სსკ-ში გადავიდა ცნებებიც “მითვისება” და “გაფლანგვა”. თანამდებობრივი მითვისება განიხილებოდა, როგორც მითვისების ნაირსახეობა. განსახილველი ცნების შინაარსში ხსენებული კოდექსები ისეთივე აზრს დებდნენ, როგორსაც 1885 წლის სჯულდება. ეს ნათლად ჩანს რსფსრ-ის სსკ-ის განსახილველი მუხლების კომენტარებდან. როგორც სჯულდების, ისე რსფსრ სსკ-ის ნორმების გამოყენებისას, სისხლის სამართლის თეორიასა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში არ იყო ერთნაირი პოზიცია. მაგალითად, 1922 და 1926 წლების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, მითვისება განისაზღვრებოდა, როგორც გარკვეული მიზნისათვის მინდობილი სხვისი ქონების ანგარებით დატოვება ან ამ ნივთების განიავება. ამგვარად, აღნიშნული პერიოდის კანონმდებლობა შეიცავდა მითვისებისა და გაფლანგვის შემადგენლობებს. შედარებით ბუნდოვან განმარტებას იძლეოდა თავის კომენტარებში მ.გერნეტი. მისი აზრით, დაუფლებისაგან განსხვავებით, მითვისება არ გულისხმობს სხვა პირის მფლობელობიდან ნივთის ამოღებას, რადგანაც კანონიერ მფლობელობაში არსებულ ნივთს მიმთვისებელი მხოლოდ თვითნებურად იტოვებს. აღნიშნული მოსაზრება გაუგებარია, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ნივთის დაუფლება ზოგადად ახასიათებს ქურდობასაც და მითვისებასაც. ქურდობის დროს, თუ დავიცავთ ავტორის ტერმინოლოგიას, პირი ისევე ეუფლება ნივთს

¹⁴ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 25

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, როგორც მითვისების დროს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

უფრო ნათლად გამოთქვამს თავის აზრს ი.ფონიციკი. მისი აზრით, მითვისება სხვა სახის დაუფლებისაგან იმით განსხვავდება, რომ დამნაშავე კანონიერ საფუძველზე ფლობს ნივთს და მართლსაწინააღმდეგოდ მოაქცევს მას თავის საკუთრებაში.¹⁵

ვაჭამებთ რა მითვისებისა და გაფლანგვის შესახებ სისხლის სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რომლებსაც მოიცავს რსფსრ-ის 1922 და 1926 წლების სისხლის სამართლის კოდექსები, ვასკვნით, რომ კანონმდებელმა პრაქტიკულად აღადგინა საბჭოთამდელი პერიოდის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებული შეხედულებები განსახილველი დანაშაულის თაობაზე. გაფლანგვას დამოუკიდებელ დანაშაულად კი არ მიიჩნევდნენ, ის მითვისების ფორმად განიხილებოდა. მითვისება მიეკუთნებოდა საკუთრების ხელყოფის განსაკუთრებულ სახეს დაუფლებასთან ერთად. მითვისება დამთავრებულად ითვლებოდა “ნივთის დახარჯვის ან თავის საკუთრებაში მოქცევის მომენტიდან, რისი დადგენაც შესაძლებელი იყო, მაგალითად იმით, რომ რევიზიის დროს ადგილზე არ აღმოჩნდებოდა ქონება,... ან არ აღმოჩნდებოდა იმ რაოდენობით, რამდენიც უნდა ყოფილიყო სახეზე”.¹⁶

გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი კოოპერაციაში, გაფლანგვების გავრცელებასთან დაკავშირებით, ეს ცნება ერთ-ერთი ყველაზე “პოპულარული” გახდა იურიდიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში. გაფლანგვების ასეთმა “პოპულარიზაციამ” გამოიწვია მათი პოლიტიზაცია-გამფლანგველები პრაქტიკულად კონტრევილუციონერების გვერდით დააყენეს და ხალხის მტრებად გამოაცხადეს. პოლიტიკური თვალსაზრისით ასეთმა გადახრამ გამოიწვია აქცენტის გადაადგილება იურიდიულ მეცნიერებაში. მაგალითად, ა.ა.იოგანსენი წერდა: ”დამნაშავის მოქმედება თანამდებობრივი გაფლანგვის დროს, ისევე როგორც კერძო გაფლანგვისას, გამოიხატება იმაში, რომ იგი მისთვის

¹⁵ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 27

¹⁶ იქვე. გვ. 29-30

მინდობილ ნივთს განკარგავს როგორც საკუთარს, თანაც ან მოაქცევს მას თავისი ქონების შემადგენლობაში და არ უბრუნებს მესაკუთრეს (მითვისება), ან ხარჯავს თავისი საჭიროებისათვის (გაფლანგვა). გაფლანგვა ითვლება ჩადენილად ქონების დახარჯვის ან თავის სასარგებლოდ მოქცევის მომენტიდან.”¹⁷ ცხადია, მითვისებისა და გაფლანგვის ასეთი გაგება არსებითად სცილდება მითვისების “კლასიკურ” ცნებას რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რაც ორი ფორმით გამოიხატებოდა: დატოვებითა და გაფლანგვით. ავტორი განსახილველ ცნებებს ადგილებს უცვლის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მისი აზრით, ახლა უკვე გაფლანგვა და არა მითვისება (როგორც ეს ადრე იყო) გამოიხატება ორი ფორმით: ქონების მითვისებითა და დახარჯვით. ზოგიერთი კრიმინალისტი, ხედავდა რა, თუ როგორ მახინჯდება იურიდიული ცნება პოლიტიკური მიზანშეწონილობის საამებლად, ცდილობდა, წინ აღდგომოდა ამას. მაგალითად, ა.ა.პიონტკოვისკი აღნიშნავდა: “თუმცა ტერმინი “გაფლანგვა” ფართოდაა გავრცელებული სსკ-ის 113-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების აღსანიშნავად, ის არ გამოირჩევა საკმარისი სიზუსტით. გაფლანგვა ითვლება მითვისების ერთ-ერთ ხერხად. შესაძლებელია სახეზე გვექონდეს ჩვენთვის საინტერესო დანაშაული სხვისი ქონების გაფლანგვის გარეშეც კი. უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ მითვისებაზე და არა გაფლანგვაზე”.¹⁸

გაურკვეველობა “მითვისების” ცნების შინაარსის მიმართ იმითაც იყო გამოწვეული, რომ თანამდებობრივი მითვისების ნორმა მოცემული იყო თანამდებობრივ დანაშაულითა თავში, ხოლო მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას კერძო პირების მიერ ჩადენილი მითვისებისთვის, განთავსებული იყო თავში “ქონებრივი დანაშაული”.

მიუხედავად ამისა, იმ წლების იურიდიული ლიტერატურის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: იურისტებს შორის გაბატონებული იყო აზრი, რომ მითვისება საკუთრების ხელყოფის დამოუკიდებელი

¹⁷ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012, გვ. 30-31

¹⁸ იქვე. გვ. 31

სახეობაა. მაგრამ უკვე იმ წლებში პრაქტიკოსი მუშაკები გაფლანგვას განსაზღვრავდნენ როგორც სახელმწიფო ქონების დაუფლებას.¹⁹

გაფლანგვის კატეგორიის ცალკე დამკვიდრება შეინიშნებოდა არა მარტო სამართლებრივი აქტების ტექსტებში, არამედ იურიდიულ ლიტერატურაშიც. ბროშურაში “საბჭოთა სისხლის სამართალი” (რედაქტორი ა.ა.ვიშინსკი) მოცემულია 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის ასეთი კომენტარი: “ 7 აგვისტოს კანონი ითვალისწინებს საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფას არა მარტო დაუფლების გზით, არამედ თაღლითობის, გაფლანგვის, ქონების გაფუჭებისა და განადგურების გზითაც და ა.შ. კანონი გამოყენებულ უნდა იქნეს დიდი ოდენობით დაუფლებისა და გაფლანგვის შემთხვევების, ან სისტემატურად, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დაუფლებისა და გაფლანგვის მიმართ...”²⁰

ამრიგად, აღნიშნული პერიოდის კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს ორ საპირისპირო ტენდენციას. სწორი იყო საბჭოთამდელ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებული ტრადიციული შეხედულება მითვისებაზე. გაფლანგვა განიხილებოდა მითვისების ნაირსახეობად. პრაქტიკაში კი სულ სხვა, საპირისპირო ტენდენცია გაჩნდა. გაფლანგვის შემთხვევების გავრცელებამ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე საჭირო გახდა ამ მოვლენაზე ყურადღების აქცენტირება.

განსახილველი პერიოდი მთავრდება სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის 25 დეკემბერის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა და 1959-1962 წწ. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიღებით. ამ ნორმატიულმა აქტებმა დაასრულეს 1932 წლის კანონით დანწყებული და 1947 წლის ბრძანებულებით გაგრძელებული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შემადგენლობათა ერთ თავში გაერთიანების პროცესი.

60-იანი წლების სისხლის სამართლის პოლიტიკამ კვლავ დატოვა მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯვნის ბუნდოვანი კრიტერიუმები, რამაც სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვან გადაწყვეტილებათა გახშირება

¹⁹ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012. გვ. 32

²⁰ ნ.თევდორაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012. გვ. 35

გამოიწვია. ამ მდგომარეობას გამოეხმაურა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილება “სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაუფლების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ”, რომელმაც არასწორად მიიჩნია მითვისებისა და გაფლანგვის გამოჭვნა. დადგენილებაში აღნიშნული იყო: “მინდობილი ან გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ნივთის მითვისებად თუ გაფლანგვად უნდა დაკვალიფიცირდეს მართლმომიერ მფლობელობაში მყოფი ნივთის მართლსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად დამნაშავეს მიერ, რომელიც თანამდებობრივი მოვალეობის, ხელშეკრულებითი ურთიერთობის ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სპეციალური დავალებით ამ ნივთის მიმართ ახორციელებდა განკარგვის, მართვის, მიწოდების ან შენახვის უფლებამოსილებას (მეკუჭნავე, ექსპედიტორი, მომარაგების აგენტი, გამყიდველი, მოლარე და სხვა პირები)”.²¹ ამ პოზიციამ ვერ მოიკიდა ფეხი საბჭოთა კავშირის და, მათ შორის, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში.

საქართველოს ახალმა კანონმდებლობამ კრიტიკის გარეშე გადმოიღო რუსეთის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის კონსტრუქცია, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს 1947 წლის 4 ივნისის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მიერ დანერგილ ტრადიციას. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი ითვალისწინებს ორ ქმედებას – მითვისებას ან გაფლანგვას. საბჭოთამდელი სისხლის სამართლის თეორიის მიღწევების უარყოფითი და საბჭოური მოდელის შენარჩუნებით აღნიშნულმა მუხლმა კვლავ ჰაერში დატოვა ქმედების არსის საკითხი. მრავალ კომენტარში კვლავ იჩინა თავი ბუნდოვანმა და წინააღმდეგობრივმა დებულებებმა.

მოკლედ შევეხოთ მითვისების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორიას.

1922 წლის საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლში განისაზღვრებოდა მითვისება, ესე იგი კერძო პირის მიერ თვითნებურად და

²¹საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ. 1972. №4

ანგარებით ნივთის დაჭერა, აგრეთვე მისთვის განსაზღვრული მიზნით მიბარებული ქონების გაფლანგვა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ რუსეთის 1922 და 1926 წლების სისხლის სამართლის კოდექსები, საქართველოს კოდექსისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებდნენ გაფლანგვის მომენტს, რადგან ჯერ კიდევ საბჭოთამდელი სისხლის სამართლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს კოდექსებში დომინირებდა ანგარებითი მომენტი, რაც მითვისებისათვის არსებითად არ არის დამახასიათებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, 1922 წლის დეფინიცია არ იყო დახვეწილი. ტერმინი “განსაზღვრული მიზნით მიბარებული ნივთი” გაუგებრობას იწვევდა ქურდობისა და მითვისების გამიჯვნის თვალსაზრისით. მაგ., თუ პირმა თავისი ხელჩანთა დროებით მიაბარა სადგურში ვინმეს რათა ეყიდა წამალი, უცხო მგზავრმა კი ისარგებლა ამ შემთხვევით და ფარულად დაეუფლა ნივთს, ზემოთ მოტანილი დეფინიციის მიხედვით ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მითვისება, თუმცა ადგილი აქვს ქურდობას. ტერმინი “ჯერაც” ვიწროდ ასახავდა მითვისების შინაარსს, რადგან მითვისების დროს მართლმომიერ მფლობელობაში არსებული ნივთის მისაკუთრება სხვადასხვა ხერხებით ხდება.

საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ზემოთ მოტანილი ნორმა უცვლელად 182-ე მუხლის პირველ ნაწილში იქნა გადატანილი. მას დაემატა მეორე ნაწილი “ნაპოვნი რამის ან აღმოჩენილი განძის მითვისება” და მესამე - “მეურვის მიერ მეურვეობაში მყოფი პირის ქონების მითვისება ან გაფლანგვა”, რომლის მიმართ კანონი იყენებდა სოციალური დაცვის ღონისძიებებს.

ცვლილებაში აისახა სახელმწიფო საკუთრების გაძლიერების ტენდენცია, რადგან ნებისმიერი განძი ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად. ვარაუდობდნენ, რომ ნაპოვნი ნივთი, თუ მასზე არ არსებობს რაიმე განაცხადი, ითვლება სახელმწიფო საკუთრებად.

წინამორბედი კოდექსის შესაბამის ნორმასთან შედარებით, 1928 წლის სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილი ნოვაცია იყო, მაგრამ არსებითად არ ცვლიდა მითვისების ბუნებას, რომელიც აღწერილი იყო მუხლის პირველ ნაწილში, რადგან

მართლობიერ მფლობელად მეურვეც ითვლებოდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პლენუმის 1943 წ. 23 ივნისის ბრძანებულებით ეს მესამე ნაწილი გაუქმდა.

არსებითი ცვლილებები განიცადა მითვისების ნორმამ საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. მითვისების შემადგენლობა გათვალისწინებული იყო კოდექსის მე-2 - (“დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ”) და მეხუთე თავებში (“დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ”).

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში პრიორიტეტი ეძლეოდა სახელმწიფო საკუთრებას. ამიტომ თავდაპირველად მითვისების შემადგენლობა გათვალისწინებული იყო 94-ე მუხლში – “სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახუროებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით”. ამ ნორმის პირველ ნაწილში ვკითხულობთ: “მითვისება ან გაფლანგვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც მინდობილი ჰქონდა დამნაშავეს, ან იმყოფებოდა მის გამგებლობაში, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახუროებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით”.

“მეორე ნაწილი ითვალისწინებდა იგივე მოქმედებას, ჩადენილს განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით”.

“მესამე ნაწილით ისჯება გატაცება, გათვალისწინებული ამ მუხლის პირველ ან მეორე ნაწილში, ჩადენილი დიდი ოდენობით”.

ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება იყო გათვალისწინებული ამავე კოდექსის 99-ე მუხლში შემდეგი დეფინიციით: “წინასწარი შეცნობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი ნაპოვნი ქონების ან დამნაშავეს ხელში შემთხვევით მოხვედრილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი განძის, აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ქონების მითვისება”.

როგორც აღვნიშნეთ, მითვისების შემადგენლობას ითვალისწინებდა აგრეთვე კოდექსის მეხუთე თავი. 155-ე მუხლის თანახმად, მითვისება განიხილებოდა როგორც მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა ან ამ ქონების გაფლანგვა, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

მოქმედ კანონმდებლობაში მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯვნას მხარს უჭერს ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა. ამ მცდარი კონსტრუქციის მიზეზების გამოვლენისათვის საჭიროა განვიხილოთ თანამედროვე ავტორთა პოზიცია.

მ.ლევკვიშვილისა და გ.მამულაშვილის აზრით, “მითვისება და გაფლანგვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. საერთო მათ შორის ისაა, რომ ამ დანაშაულთა სუბიექტს (უფრო ზუსტად, “ამსრულებელს”-ნ.თ.) ახასიათებს სპეციალური ნიშანი – ფაქტობრივი შესაძლებლობა, განახორციელოს ამ ქონების განკარგვის, მართვის, დაცვის, რემონტის, გადაზიდვის, დროებითი სარგებლობისა და ა.შ. უფლებამოსილება.”²² ანალოგიური პოზიცია უკავია ნ.თოდუას, რომელიც აღნიშნავს: “ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელი თვისებურებაა სპეციალური ამსრულებლის არსებობა. ამსრულებლები არიან პირები, ვისაც სხვისი მოძრავი ნივთი გადაცემული აქვთ შესანახად, დასაცავად, გასარემონტებლად (მაგალითად, ავტომანქანის გადაცემა ხელოსნისათვის გასარემონტებლად), გადასაზიდად (მაგალითად, მძღოლ-ექსპედიტორს ჩააბარეს სათანადოდ გადათვლილი ან ანონილი რაიმე ნივთი გადასაზიდად), განკარგვისათვის (მაგალითად, მაღაზიის გამყიდველს თვლით და წონით ჩაბარებული აქვს ნივთები გასაყიდად ან მოლარეს ჩაბარებული აქვს რომელიმე ორგანიზაციის წევრებისათვის დასარიგებელი თვიური ხელფასი) და ა.შ. ამდენად, დანაშაულის ამსრულებლები აქ არიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები”.²³

პროფესორი ზ.წულაიას აზრით, მითვისების განსაკუთრებული ხასიათი ისაა, რომ ნივთი იმყოფება დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში. ამგვარად,

²²მ.ლევკვიშვილი, გ.მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). გამომც. “მერიდიანი” თბ., 1999, გვ. 47.

²³სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). გამომც. “მერიდიანი” თბ., 2004, გვ. 165.

აღნიშნული ფორმით ნივთის დაუფლებისას საქმე გვაქვს დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ნივთის გადასვლასთან მის არამართლზომიერ მფლობელობაში (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულების მოლარე თავისთვის იტოვებს ბანკიდან მიღებულ ფულს, რომელიც განკუთვნილია ხელფასის სახით დაწესებულების მუშებზე გადასაცემად)²⁴.

სსკ-ს 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ზემოთ მოტანილი ზოგადი დახასიათებები სწორია და დავას არ იწვევს. მართლაც, ამ ქმედების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე მისაკუთრებს იმ მოძრავ ნივთს, რომელიც მესაკუთრის ნებით მას გადაცემული ჰქონდა მართლზომიერ მფლობელობაში. მაგრამ, როგორც შემდგომ დავინახავთ, მფლობელობის არასწორი გაგება იწვევს ერთი ქმედების მაგივრად ორის არსებობას – მითვისების და გაფლანგვის. როგორც გვარწმუნებენ, მითვისებასა და გაფლანგვას შორის განსხვავება ობიექტურ მხარეშია. მითვისების დროს დამნაშავე იტოვებს მინდობილ ნივთს თავის პირად განკარგულებაში იმ მიზნით, რომ შემდგომში ისარგებლოს მისით როგორც თავისი საკუთართ (მაგალითად, გამყიდველმა მაღაზიიდან წაიღო და თავის ბინაში გადამალა ტელევიზორი, მოლარემ სალაროდან ამოიღო გარკვეული თანხა და შეიტანა შემნახველ სალაროში თავის პირად ანგარიშზე და ა.შ.); გაფლანგვის დროს კი დამნაშავე უკვე განკარგავს მინდობილ ნივთს, როგორც თავის საკუთარს: გაყიდის, მოიხმარს, დახარჯავს, გააჩუქებს და ა.შ.²⁵.

როგორც ვხედავთ, მფლობელობა მოწყვეტილია მესაკუთრის ინტერესს და მთელი ტვირთი გადატანილია იმ ხერხებზე, რომლითაც ხორციელდება მინდობილ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. გავრცელებული აზრის მიხედვით, მითვისება არის ჭერა. მაგალითად, ნ.თოდუა წერს: როდესაც საწყობის გამგემ მიითვისა საწყობში არსებული ნივთი და შემდეგ გაყიდა იგი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა გაფლანგვად, არამედ მითვისებად, ეს იმიტომ, რომ ნივთის უკანონო დაუფლების ხერხი მითვისებაა. საწყობის გამგის შემდგომი საქმიანობა (ნივთის გაყიდვა) მითვისებას ვერ გადააქცევს გაფლანგვად... გაფლანგვა შეიძლება მოხდეს იმ

²⁴ ზ.წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. გამომც. "ინტელექტი" თბ., 2003. გვ. 90

²⁵ იქვე, გვ. 91

მოძრავი ნივთისა, რომელიც იმყოფება გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ხოლო მითვისებული ნივთი უკვე არ იმყოფება მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, იგი მას უკვე უკანონოდ ფლობს, აღნიშნავს ავტორი.²⁶

მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯვნა, მათი არსის ბუნდოვანი გაგება მრავალ კითხვას წარმოშობს. დაუშვათ, გამყიდველმა მალაზიიდან წაიღო და თავის ბინაში გადამალა ტელევიზორი. გაბატონებული აზრის მიხედვით, აქ ჩვენ გვაქვს მითვისება. მაგრამ, თუ მან გაყიდა ტელევიზორი, მაშინ - გაფლანგვა. როდის უნდა ჩავთვალოთ დანაშაული დამთავრებულად? ე.წ. მითვისების დროს მან შეასრულა დანაშაულის შემდგენლობა. მაგრამ თუ შემდგომში გაყიდა ტელევიზორი, მაშინ როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ დანაშაული? მითვისება არ ჩაითვლება დამთავრებულად და მაშინ მოგვინევს მისი გამოცხადება გაფლანგვისათვის მომზადებად, რაც ალოგიკურია. უფრო მეტიც, ასეთი კონსტრუქცია სქოლასტიკურია, რადგან მას არ მოსდევს რაიმე განსხვავებული იურიდიული შედეგი და არსებითად არ ცვლის დანაშაულის კვალიფიკაციას. უნდა დავეთანხმოთ ა.იგნატოვს, რომ გაფლანგვა მითვისების შემდეგი ეტაპია: იმისათვის, რომ გაფლანგო, ჯერ უნდა მიითვისო. თუმცა დანაშაულის დამთავრების მომენტი მასთანაც გაურკვეველია და ეს კითხვა მაინც უპასუხოდ რჩება.

“მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯვნისას ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის. ჯერ გვარწმუნებდნენ, რომ მითვისება არის ნივთის ჭერა. ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ მითვისება ეს არ არის მხოლოდ ნივთის დაკავება და დაუბრუნებლობა, რომელიც თავისი შინაარსით ყოველთვის ადამიანის პასიურ მოქმედებას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქონების დაუფლება უმოქმედობით... შეუძლებელია. მითვისება ყოველთვის აქტიური მოქმედებით ხორციელდება”., მაგრამ იგივე ავტორები ნაშრომის შემდეგ გვერდზე საპირისპიროს

²⁶სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. (ეკონომიკური დანაშაული). გამომც. “მერიდიანი” თბ., 2004, გვ. 165

გვიმტკიცებენ, რომ ექსპედიტორის მიერ მინდობილი ნივთის დაკავება, დაუბრუნებლობა არის მითვისება, ანუ აქტიური მოქმედება²⁷.

2008 წლის 23 ოქტომბრის კანონმდებლობითი ცვლილებები შეიტანა მითვისების შემადგენლობის შინაარსში, რომლის მიხედვითაც დანაშაულის საგანი არის არა მხოლოდ მოძრავი, არამედ უძრავი ნივთიც, ასევე სხვისი ქონებრივი უფლება. ამ საკანონმდებლო ცვლილების ავკარგიანობის გასარკვევად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ძირითადი ინსტიტუტის – საკუთრების მნიშვნელობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების შინაარსი არის ქონების (ნივთის) თავისუფალი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლება არის აბსოლუტური უფლება. მესაკუთრემ უნდა შეძლოს ნივთთან თავისუფალი ურთიერთობების განხორციელება. ყველა დანარჩენ პირს პოტენციურად ედება ვალდებულება, არ დაარღვიონ ეს უფლება.

საკუთრების უფლება მიეკუთვნება საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სხვა უფლებათა შორის საკუთრების უფლებასაც სახელმწიფო ცნობს და იცავს როგორც საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას.

საკუთრების ცნებისაგან დამოკიდებულია მფლობელობის ცნება. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. მფლობელობა დამოკიდებულია მესაკუთრისაგან. ამავე კოდექსის 172-ე მუხლით, მესაკუთრის ნებით დადგენილი მფლობელობის პირობების დარღვევა ითვლება უკანონო მფლობელობად და მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. როგორც აღნიშნავს ბ.ზოიძე, მესაკუთრეს უფლება აქვს პასუხი მოსთხოვოს არაკეთილსინდისიერ კონტრაჰენტს, რომელმაც თვითნებურად გაასხვისა მისი ნივთი. მესაკუთრემ იცის, თუ ვისთან იმყოფება იგი სახელშეკრულებლო ურთიერთობაში და ამდენად თავის კონტრაჰენტს უნდა

²⁷მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), გამომც. "მერიდიანი" თბ., 1999, გვ. 48-49

მოსთხოვოს პასუხი²⁸. როგორც ბ.ზოიძე აღნიშნავს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა, რაც არსებითად საკუთრების ინტერესებითაა გამოწვეული. უკანონო მფლობელობის დაცვა აუცილებელი ბოროტებაა და იგი ხდება საკუთრების უფლების ინტერესებისათვის²⁹.

მესაკუთრის უფლების უპირატესობაზე საუბრისას, ბ.ზოიძე კვლავ უბრუნდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მესაკუთრის ნების გარეშე გამოდის ქონება მისი ხელიდან, “ეს მაშინაა, როდესაც მესაკუთრე კარგავს, ან პარავენ მას ამ ქონებას, ან კიდევ, როცა უკანონო სანქციებით ხდება მისი ჩამორთმევა. სამოქალაქო კოდექსი იუწყება, რომ ასეთ შემთხვევაში ვის ხელშიც უნდა აღმოჩნდეს ეს ქონება, ვინც უნდა იყოს მისი უკანასკნელი შემძენი, კეთილსინდისიერი იქნება იგი თუ არაკეთილსინდისიერი, მისგან ნივთის გამოთხოვა გარდაუვალია. სანიმუშოდ წარმოვიდგინოთ მესაკუთრის, ნივთის მპარავისა და კეთილსინდისიერი შემძენის სამართლის ნორმატიული, ნებით განსაზღვრული ურთიერთობა. ამ ურთიერთობის პროცესში ადგილი აქვს ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებას, რაც საბოლოოდ მესაკუთრის სასარგებლოდ წყდება. კეთილსინდისიერ შემძენს ნივთი ჩამოერთმევა. თავისი უფლების დასაცავად მან შეიძლება მიმართოს იმას, ვისგანაც შეიძინა ნივთი და მოსთხოვოს მას გადახდილის უკან დაბრუნება. თუ ეს პირიც უცნობი აღმოჩნდა, მაშინ სამართალი კეთილსინდისიერ შემძენს თანაგრძნობის გარდა ვერაფრით შველის. ამდენად, ინტერესთა აღნიშნული დაპირისპირება კანონმდებელმა იმით მოხსნა, რომ უპირატესობა მიანიჭა მესაკუთრეს სწორედ იმიტომ, რომ ნივთი მისი ხელიდან გამოდის მისი ნების გარეშე და ამ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი მესაკუთრე”.

ყოველივე აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მითვისება გულისხმობს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი მოძრავი ნივთის მესაკუთრის ნების გარეშე მისაკუთრებას, ანუ მისი ნების გარეშე ნივთის ფლობას, სარგებლობას, განკარგვას. ჩვენი პოზიციის გასამყარებლად კვლავ მოვიშველიებთ ი.ფონინცკის მოსაზრებას, რომ მითვისება ნიშნავს სხვისი ნივთის ნებისმიერ

²⁸ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. “მეცნიერება” თბ., 2003 გვ. 98

²⁹ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. “მეცნიერება” თბ., 2003, გვ. 58

მართლსაწინააღმდეგო დატოვებას, მესაკუთრისათვის ნივთის დაუბრუნებლობას. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დგება ნივთის დაბრუნების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ნივთი დაიტოვა პირმა თავის საკუთრებაში თუ გაასხვისა, დახარჯა ან გაფლანგა. ამგვარად, დაუბრუნებლობა მოიცავს სხვისი ქონების დატოვებასაც (თვით მითვისებას) და დახარჯვასაც (გაფლანგვას). როგორც აღნიშნავდა ი.ფოინიცი, “ნივთის დაბრუნების შესახებ მეპატრონის მოთხოვნის შეუსრულებლობის მომენტი იქნება სწორედ დამნაშავის საკუთრებაში მართლსაწინააღმდეგოდ ნივთის მოქცევის მომენტი... ასევე არსებობს მითვისება, თუ კი დადგენილ ადგილას და დადგენილ დროში არ აღმოჩნდება სახეზე მინდობილი ქონება (ხაზინადრის რევიზიისას სახაზინო ყუთში არ აღმოჩნდა მთელი თანხა ან მისი ნაწილი)”.³⁰

უნდა აღინიშნოს, რომ სამაქალაქო სამართალში ეს საკითხი გარკვეულია. მაგალითად, პირი, რომელმაც აიღო იჯარით მანქანა, არის არაპირდაპირი მფლობელი იმასთან შედარებით, რომელიც მან დაიქირავა მძღოლად (პირდაპირი მფლობელი). ასეთი დაყოფა აისახება სისხლის სამართალშიც, ოღონდ "პირდაპირი მფლობელის" მაგივრად გამოიყენება ტერმინი "გამგებლობა". ეს არის და ეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მფლობელობას.

³⁰И.Я. Фойницкий. Курсуголовногоправа. Частьособенная. СПб. 1907. С . 300-302.

თავი II. მითვისების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების ობიექტი. ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს ერთიანი აზრი. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მითვისებისა და გაფლანგვის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები,³¹ სხვათა აზრით, თავად ობიექტია ნორმა, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეთაა.³² ამ გაგებით ობიექტად ითვლება სისხლის სამართლის კოდექსით დაცული სამართლებრივი სიკეთე.³³ ამრიგად, ობიექტის პოზიტივისტური გაგების მაგივრად ნორმატიული თეორიის მიმდევრებმა ობიექტად აღიარეს არა საკუთრების გარეგანი, ფაქტობრივი აღწერილობა, არამედ მისი სამართლებრივი ფორმა. როგორც აღნიშნავს მ.ტურავა, ქმედების ობიექტია სისხლის სამართლის კოდექსით დაცული სამართლებრივი სიკეთე.³⁴ გერმანულ ლიტერატურაში ქმედების ობიექტი ესმით, როგორც სამართლებრივი სიკეთე (Rechtsgutschutz).³⁵ ეს საკითხით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მითვისებისა და გაფლანგვის სახეობითი ობიექტია ნივთის თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის მარეგულირებელი ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (170-ე მუხლი). მომდევნო მსჯელობისას ჩვენ ამ კუთხით გამოვიყენებთ დესკრიფციულ ტერმინს “საკუთრება, როგორც ობიექტი”.

³¹ მ.ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. “მერიდიანი” თბ., 2008, გვ. 373.

³²ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადინაწილი. თბ., 2010, გვ. 83.

³³მ. ტურავა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომცემლობა “ბონაკაუზა” თბილისი 2010, გვ.73.

³⁴იქვე. გვ. 73

³⁵Schmidt R. Strafrecht, Allgemeiner Teil. Grundlagen der Strafbarkeit. Aufbau des Strafrechtlichen Gutachten. 2. Aufl. Grasberg (bei Dremen). 2003, S.45-46.

მითვისებისა და გაფლანგვის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე არღვევს როგორც კანონით დადგენილ მფლობელობის წესს, ასევე მესაკუთრის უფლებას. უშუალო ობიექტია მფლობელობა, სახეობითი ობიექტი კი - მესაკუთრის უფლება. ჩვენი აზრით, ქმედების ობიექტის დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობის აგებისას. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მესაკუთრისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მფლობელმა მითვისა ნივთი, თუ გაფლანგა მისი ნების გარეშე, “მფლობელობაში, როგორც აღნიშნავს პროფ. ბ.ზოიძე - ყოველთვის მესაკუთრის აჩრდილი იცქირება”.³⁶ ამიტომ ამოსავალი წერტილი საკუთრებაა და მართო მის მიმართ განხილული მფლობელობა. საბჭოური მოდელიდან გადმოტანილმა კონცეფციამ მოქმედ კანონმდებლობაში დატოვა გაფლანგვის ინსტიტუტი, რომელიც იურიდიულად გავლენას ვერ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. უფრო მეტიც, ძალზე ბუნდოვნად ჩანს ძირითადი ობიექტი - მესაკუთრის უფლება. ასეთივე გაუგებარი სიტუაციაა რუსეთის კანონმდებლობაში.³⁷

ობიექტის საკითხი არაერთგვაროვნად არის ასახული საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალშიც. მაგ., მითვისების სახეობით ობიექტად საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი მიიჩნევს ქონებას და არა საკუთრებას. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აქ მხოლოდ ტერმინოლოგიური განსხვავებაა, მაგრამ მართო ერთი შეხედვით. საკუთრების ინსტიტუტის წინა პლანზე წამოწევა ნიშნავს იმას, რომ “ფაქტობრივი მფლობელობის დაცვაში საკუთრების ინტერესებია გამოკვეთილი”.³⁸ ამრიგად, მფლობელობაში ვლინდება მესაკუთრის ვარაუდი. განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მესაკუთრე მფლობელს გადასცემს საკუთრებას იმ ვარაუდით, რათა ნორმალურ მდგომარეობაში მოხდეს მოძრავი ნივთის დაბრუნება. ფრანგული მოდელი კი მესაკუთრის ინტერესს ნათლად არ ითვალისწინებს, რადგან ნებისმიერ ქონებაზე ავრცელებს მითვისების შემადგენლობას. როგორც ვხედავთ, ობიექტის (უშუალო

³⁶ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. “მეცნიერება” თბ., 2003, გვ. 58.

³⁷Комментарийк УКРФ. (подред. В.М. Лебедева).М. 2006. С . 374.

³⁸ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. “მეცნიერება” თბ., 2003, გვ. 71.

ობიექტის) საკითხი საფრანგეთის კანონმდებლობაში თანამიმდევრულად არ არის გადანაცვებული.

გერმანიის კანონმდებლობა უფრო დახვეწილად გამოყოფს ობიექტს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: მითვისების სახეობითი ობიექტია საკუთრება, მაგრამ ობიექტი უფრო დეტალიზებულია, რადგან ქონების მაგივრად გამოიყოფა ცალკე აღებული ქონებრივი უფლება, მაგ., სარგებლობის უფლება, დაუფლების უფლება და ა.შ.³⁹

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი მითვისების სახეობით ობიექტად აცხადებს საკუთრებას, რაც გასაგები მიზეზების გამო სავსებით მისაღებია.⁴⁰

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მითვისების (და გაფლანგვის) სახეობით ობიექტად თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულია საკუთრება. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც, სადაც მითვისებისა და გაფლანგვის შემადგენლობა მოთავსებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

მიზეზობრივი კავშირი. ქმედებისობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია მიზეზობრივი კავშირი. სქემატურად აღნიშნული კავშირი არსებობს ქმედებასა და შედეგს შორის, სადაც ქმედებას წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, ხოლო მესაკუთრის მიერ მოძრავ ნივთზე მფლობელობის ან განკარგვის უფლების დაკარგვა ქმედების შედეგს. როგორც მართებულად აღნიშნავენ, "მითვისება დამთავრებულია მაშინ, როცა მიმთვისებელს მიეცემა ამ ნივთის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა".⁴¹ ანალოგიურად მსჯელობს ი.ფონინიკვიც, როდესაც აღნიშნავს, რომ "ნივთის

³⁹Уголовное право зарубежных Государство (особенная часть). М. <<Комрон>>. 2004. С. 356-358

⁴⁰Уголовное право зарубежных странао (особенная часть). М. <<Комрон>>. 2004. С. 413-417; Кузнецов И.Н. Систематизация законодательства в Италии. М. ВНИИСЗ. 1973. вып. 84. С. 3-15.

⁴¹სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. (ეკონომიკური დანაშაული). გამომც. "შერიდიანი" თბ., 2004, გვ. 165

დაბრუნების შესახებ მეპატრონის მოთხოვნის შეუსრულებლობა იქნება სწორედ დამნაშავის საკუთრებაში კანონსაწინააღმდეგოდ მისი მოქცევა.⁴²

ჩონდიტო სინე ქუა ნონ-ის პრინციპზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზეზობრივ კავშირზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, თუ რა ბედი ეწია ნივთს მესაკუთრის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ. დამნაშავემ შეიძლება ნივთი გაყიდოს, აჩუქოს მესამე პირს, წაიღოს სახლში და ა.შ. მაგრამ ამ აქტებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ ძირითად შედეგთან, რომელიც იურიდიულად მნიშვნელოვანია, ანუ მესაკუთრის მოთხოვნის შეუსრულებლობასთან.

პროფ. თ.წერეთელი აღნიშნავს „პირველად ყოვლისა, მიუთითებენ, რომ თეზისი (Conditio sine qua non)საერთოდ უვარგისია ერთი მოვლენის მეორე მოვლენისაგან წარმოშობის ასახსნელად, რომ ეს თეზისი არსებითად გვიხსნის არა მიზეზობრივ დამოკიდებულებას ორ მოვლენას შორის, არამედ საერთო ურთიერთკავშირს და ურთიერთზემოქმედებას. კერძოდ სისხლის სამართალში ამ თეზისმა შეიძლება განუსაზღვრელ მიზეზობრიობამდე მიგვიყვანოს, ვინაიდან რაიმე მოვლენის აუცილებელი პირობა თვით არის შედეგი სხვა აუცილებელი პირობისა და ა.შ. უსაზღვრობამდე,⁴³ ამას ადასტურებს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტრუქციაც, სადაც შედეგი ზოგადად არის მითითებული და ამით დადგენილი მიზეზობრივი კავშირის ზღვრის დადგენის პრინციპი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზეზობრივი კავშირის ხარისხობრივი დახასიათება მოცემულია ზოგად ნორმაში, ხოლო მისი რაოდენობრივი პარამეტრები ”მნიშვნელოვანი ზიანი”, “დიდი ოდენობა” კი – მაკვალიფიცირებელ ნორმებში. დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება:სხვისი მოძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელობიდან ან გამგებლობიდან ამოღება მტკიცედაა დაკავშირებული მითვისების შედეგთან მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებასთან. ამიტომ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება დამთავრებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ქონების ფაქტიურად ამოღების მომენტიდან, იმის მიუხედავად, შეძლო თუ არა დამნაშავემ სხვისი ქონების, როგორც საკუთრის განკარგვა: გამოიყენა ან

⁴²И.Я. Фойницкий, Курс уголовного права. Часть особенная. СПб. 1907. С. 181.

⁴³თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ 1, თბ., 2007, გვ. 244

სხვაგვარად მოიხმარა, გაყიდა, გააჩუქა, გადასცა ვალში ან ვალის გადახდის სანაცვლოდ და ა.შ... მითვისების დამთავრებულად აღიარებისათვის საჭიროა, რომ სხვისი ნივთის უკანონოდ ამოღების შედეგად დამნაშავემ მიიღოს რეალური შესაძლებლობა განკარგოს მითვისებული ნივთი თავისი შეხედულებისამებრ.⁴⁴

მიზგობობრივი კავშირის დადგენისას მნიშვნელოვანია, რომ მესაკუთრეს მიაყენეს ქონებრივი ზიანი. ლიტერატურაში მართებულია აღინიშნება, რომ ნორმის კონსტრუქცია ითვალისწინებს მართო მატერიალურ შედეგს და არა მორალურს.⁴⁵ ფართო გაგებით, მატერიალური ზიანი შეიძლება იყოს ორი სახის: ზიანი, რომელიც დაკავშირებულია მიღებულ შემოსავალთან და ზიანი, ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის. ზიანის პირველი ფორმა დაკავშირებულია სამოქალაქო-სამართლებრივ პრობლემატიკასთან (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 411-ე მუხლი). სისხლის სამართალი ზიანის ამ ფორმას არ ითვალისწინებს. სსკ-ის 182-ე მუხლი ითვალისწინებს მართო ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ დანაკლისს.

მიზგობობრივი კავშირის კვლევისას ლიტერატურასა და პრაქტიკაში შემდეგი პრობლემა წამოიჭრება: შეიძლება თუ არა იურიდიულად მნიშვნელოვან კავშირად ჩავთვალოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა მიითვისა მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებული ნივთი, რომელიც თავის ღრობე მოპარული იყო მესაკუთრის მიერ?

ა.ბაქრაძის აზრით, სხვა პირი (არამესაკუთრე) შეიძლება ფლობდეს სხვის ნივთს არა მართო კანონიერად, არამედ უკანონოდაც. ცხადია, კანონი უნდა იცავდეს იმ პირის ინტერესებს, ვინც სხვის ნივთს კანონიერ საფუძველზე ფლობს. მოპარულის მითვისება არ აყენებს ზიანს ამ ნივთის მესაკუთრეს, ის „ზიანს“ აყენებს იმას, ვინც მესაკუთრეს მოპარა ნივთი, ვინც მას მართლაც მიაყენა ზიანი და უკანონოდ ფლობს ქონებას. ა.ბაქრაძის აზრით, საუბარი უნდა იყოს მხოლოდ „კანონიერ

⁴⁴А.А. Бакрадзе, Присвоение и растрата как формы хищения. «Российский следователь». №8. 2004.
<http://www.lawmix.ru/comm.php>

⁴⁵იქვე. <http://www.lawmix.ru/comm.php>

მფლობელობაზე”.⁴⁶ ამასთან დაკავშირებით, იგი გვთავაზობს მოპარული ნივთის მითვისებას სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლის სახით, ამგვარი ნორმის შემოღების საჭიროება ჩვენ სადაოდ მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში მიზნობრივი კავშირი თავდაპირველად მოქმედი პირის ქმედებასა და ფაქტიურად დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს. ამაზე ნათლად მიუთითებს 182-ე მუხლის კონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს ორ გარემოებას:

1) მოპარული ნივთი იმყოფება მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში

2) ამ ნივთს ჰყავს თავისი მესაკუთრე, რაზეც მიუთითებს ტერმინი „სხვისი მოძრავი ნივთი”.

აქედან გამომდინარე ა.ბაქრაძის მიერ ახალი ნორმის შემოთავაზებას ვერ დავეთანხმებით. ასევე მიუღებელია ლ.გაუხმანისა და სხვების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპარული ნივთი არ შეიძლება იყოს მართლზომიერ მფლობელობაში და ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ სხვა შემადგენლობაზე.⁴⁷ საკითხის ასეთი გადანწყვეტა ეჭვს იწვევს. დაუშვათ, დამქირავებელმა ბინიდან გაიტანა და გაყიდა ნივთები. მან არ იცის, რომ ერთ-ერთი ნივთი მესაკუთრის მიერ თავის დროზე მოპარული იქნა. ლ. გაუხმანის კონსტრუქციის მიხედვით, ამ ნივთის მითვისება არ შეიძლება შეერაცხოს პირს, რაც აშკარა შეცდომაა. ლ.გაუხმანი არ ითვალისწინებს ნორმის თავისებურებას და მის ზეგავლენას მიზნობრივი კავშირის დადგენაზე. მითვისების შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისია ნივთი იმყოფებოდეს მართლზომიერ მფლობელობაში და პირმა იბატონოს მასზე, როგორც თავის საკუთრებაზე მესაკუთრის ინტერესის საწინააღმდეგოდ. ამით ამოიწურება მიზნობრივი კავშირის პრობლემა მითვისების კვალითიკაციისას. როგორც აღნიშნავს თ.წერეთელი: „სად უნდა მოვძებნოთ საზღვარი სისხლის სამართალში, როდესაც ვადგენთ ადამიანის მოქმედების მიზნობრივ

⁴⁶ А.А. Бакрадзе, Присвоение и растрата как формы хищения. «Российский следователь». №8. 2004.

<http://www.lawmix.ru/comm.php>

⁴⁷ Л.Д. Гаухман, С.В. Максимов, Преступления в сфере экономической деятельности. М. 1998. С. 17.

სვეტიცხოველი: Новое Уголовное право России. Часть особенная М. 1998. С. 147.

Н.А. Лопошенко, Преступления в сфере экономической деятельности: понятие, система, проблемы квалификации и наказания. Саратов. 1997. С. 20.

დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, რამდენად უნდა შევიჭრათ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში და სად უნდა შევწყვიტოთ ჩვენი გამოკვლევა? ცხადია, ჩვენ არ გვჭირდება ისე შორს წასვლა, რომ ვიკვლიოთ დამნაშავეს დაბადება ან თოფის წამლის გამოგონება როგორც მკვლელობის აუცილებელი პირობა. ვინაიდან ამ აქტებთან სისხლის სამართალს არავითარი კავშირი არა აქვს. რამდენადაც სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის საკითხს ვიკვლევთ, ამდენად ჩვენი შეჭრა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში წინასწარაა განსაზღვრული ამ ამოცანით. მიზეზობრივი რგოლის გამოკვლევა წყდება იქ, სადაც იგი აღარ წარმოადგენს არავითარ ინტერესს სისხლის სამართლისათვის, ე.ი. სადაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალეულობა უკვე აღარ შეიძლება ივარაუდებოდეს”.⁴⁸

ასევე მცდარად მიგვაჩნია ზოგიერთი გერმანელი ავტორის მოსაზრება, რომელიც უშვებს მესამე პირის სასარგებლოდ არამართლზომიერ მითვისებას. აქ მიზეზობრივი კავშირი უსასრულობამდე იჭიმება და კარგავს მითვისების ობიექტური შემადგენლობის ელემენტის თვისებას, რადგან ამ შემთხვევაში შედეგი დგება არა იმ მომენტში, როდესაც მესაკუთრე კარგავს ნივთზე ბატონობას, არამედ მაშინ, როდესაც მას მიიღებს მესამე პირი.⁴⁹

საბოლოოდ კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ობიექტური ნიშანი ნებისმიერი მითვისებისა არის სხვისი მოძრავი ნივთის უსასყიდლოდ ხელში ჩაგდება. უსასყიდლოში ნაგულისხმებია ისეთი დაპატრონება, რომ ნამდვილ მესაკუთრეს სანაცვლოდ არ ეძლევა არც ფული და არც მისი ტოლფასი ნივთი, სწორედ ამიტომაც სხვისი ნივთის მითვისება მატერიალური დანაშაული.

⁴⁸თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ 1, თბ., 2007, გვ. 245

⁴⁹N. Kommentar. Prof.Dr. Urs Kindhauser, Rheinische Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Strafgesetzbuch. 3. Auflage. zeite 783. (Noak, Drittzeignung und 6. StrRG, 1999, 132 m.w.N.)

თავი III. მითვისების სუბიექტური შემადგენლობა

იმ თვალსაზრისით, რომ სწორად შევძლოთ სუბიექტის ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრა, მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ სურვილს-მიზანს, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანს, რომელიც ფაქტობრივად არის მოტივთან ერთად სუბიექტური მხარის ფაკულტატური ნიშანი. ი უნდა დავადგინოთ ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევის დროს, თუ რა სურვილი/მიზანი გააჩნდა ქმედების განმახორციელებელ სუბიექტს. ამ ნიშნის გამოკვლევით ნათლადაა შესაძლებელი გავიგოთ სუბიექტის ფაქტობრივი დამოკიდებულება თავისი ქმედებისა და შესაძლო შედეგების მიმართ, ანუ რა მიზნისკენ მიისწრაფის ადამიანი, რომ მოიყვანოს თავისი განზრახვა სისრულეში, რაც შესაბამისად გვაძლევს

საშუალებას დავადგინოთ პირის ბრალეულობის ხარისხი ისე, რომ არ დავარღვიოთ სუბიექტური შერაცხადობის პრინციპი⁵⁰. მითვისების სუბიექტური მხარე შედგება პირდაპირი განზრახვისგან, რადგან პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავის საკუთრებად სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შესაძლებლობა და სურდეს ეს შედეგი ან/და ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

დანაშაულის სუბიექტური მხარის მნიშვნელობაზე/ღირებულებაზე შეიძლება ითქვას, რომ მისი დადგენა ატარებს სავალდებულო და გადამწყვეტ ფუნქციას ქმედების შეფასების დროს, რა დროსაც აუცილებელია დადგინდეს პირის ბრალეულობის ხარისხი, როგორც სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი, რომლის გარეშეც ქმედებას ვერ შევაფასებთ დანაშაულებრივად. ამავე დროს, ნებისმიერი მოცემულობისას გარდა ბრალეულობისა, გამოკვეთილი უნდა იქნას ყველა მახასიათებელი ნიშანი ქმედებისა, რაც გახლავთ აუცილებელი და სავალდებულო პირობა ქმედების კვალიფიკაციისათვის, რომ ერთი სახის დანაშაული გავარჩიოთ მეორე სახის დანაშაულისაგან, რადგან სუბიექტური მხარის ზუსტი განსაზღვრაა გზავნილი სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის⁵¹.

ინტელექტუალური მომენტისათვის საკმარისია მიმთვისებელს წარმოედგინა ჰქონდეს, რომ ის არღვევს მართლზომიერი მფლობელობის ან გამგებლობის წესს. ეს წესის ხვადასხვანაირად ვლინდება ცხოვრებაში. ერთ შემთხვევაში მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მინდობილი მასალის წაღება სახლში არის ხელშეკრულების ანსიტყვიერი პირობის დარღვევა. მეორე შემთხვევაში გაცნობიერება შეიძლება შეეხოს მინდობილი ფულის დახარჯვას და ა.შ. ყველა შემთხვევაში მითვისების სუბიექტური მხარის დადგენისას აუცილებელია გავითვალისწინოთ განზრახვის ინტელექტუალური მომენტის აღნიშნული თავისებურება.

⁵⁰გ. ტყემელაშვილი. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. სტატია, თსუ 2019. 8-9

⁵¹ იქვე. 10

ინტელექტუალური მომენტისათვის მნიშვნელოვანია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება. მაგალითად, როდესაც პირი გადამაღლავს ნივთს, მან იცის, რომ მასზე ბატონობა შეიძლება ამ გზით ან სხვაგვითაც - ნივთის გაყიდვითაც. ამ შემთხვევაში სასურველი შედეგი - სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება კანონზომიერია, მაგრამ როგორცერთ-ერთი შესაძლებელი შედეგი. მოკლედ როდესაც ვლასპარაკობთ შედეგის დადგომის შესაძლებლობაზე, უნდა ვიგულისხმოთ სხვისი ნივთის დაუფლების ნებისმიერი ვარიანტი და, შესაბამისად, პირის მიერ მისი დადგომის გათვალისწინების შესაძლებლობა. მითვისებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინტელექტუალური მომენტის სხვა ასპექტსაც. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი ითვალისწინებს შედეგის გარდუვალობას. ქმედების სუბიექტური მხარის მნიშვნელოვანი მომენტია ნებელობითი მომენტი. პირს უნდა სურდეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და ამიტომ დასახული მიზნის მისაღწევად ხდება მისი სურვილის მობილიზაცია. როგორც ლ. სურგულაძე აღნიშნავს, “პირს შეიძლება სხვადასხვაგვარი ფსიქიკური შეფერილობა ჰქონდეს. ნასურვებია არა მხოლოდ ის შედეგი, რომელიც დამნაშავეს შინაგან სიამოვნებას ანიჭებს, არამედ ისიც, რომლის მიმართაც მას შინაგანი უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება აქვს, მაგრამ იგი წარმოდგენილი აქვს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად როგორც საჭირო და აუცილებელი. შედეგი, რომლისკენაც ისწრაფვის დამნაშავე, შეიძლება მის საბოლოო მიზანს წარმოადგენდეს, ან იყოს მიზნის მიღწევის შუალედი ეტაპი, მიზნის მიღწევის საშუალება, ანდა ქმედების აუცილებელი თანამდევნი ელემენტი. ამიტომაც განზრახვის კვლევის დროს საჭირო ხდება პირის მომავლისაკენ მიმართული ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი. პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება ორიენტირებულია დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობაზე, ამიტომ სურვილი აქ უკავშირდება მხოლოდ შედეგს, რომელშიც ასახულია ობიექტისათვის მიყენებული ვნება”⁵².

⁵²ლ.სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 1997, გვ. 191

მთლიანობაში კი დანაშაულის მახასიათებლების (ქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარე) ზედმიწევნით სწორად დადგენა ემსახურება კანონიერების პრინციპის დაცვას, რაშიც ნაგულისხმებია საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების უზრუნველყოფა⁵³.

სუბიექტური მხარე მითვისებისა გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავეს შეგნებული აქვს რომ უკანონოდ, უსაუყიდლოდ ეუფლება სხვის ნივთს, გაცნობიერებული აქვს მოქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ მაინც სჩადის ამას და მას სურს ეს შედეგი.

თავი IV. მითვისების სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნისა და კვალიფიკაციის პრობლემები

⁵³გ. ტყეშელაშვილი. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. სტატია, თსუ 2019. 10

ქმედების კვალიფიკაცია ნიშნავს, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილებით რეგლამენტირებული ჰიპოთეტური ქმედების, დადგენილი პირის მიერ ჩადენის შეფასებას, რაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების ყველა მოცემულობით და სრული მოცულობით ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში⁵⁴.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე დაუშვებელია⁵⁵. პროფ. გურამ ნაჭყებია ბრალის არსს პასუხისმგებლობის არსთან კავშირში განიხილავს და ამბობს, რომ „ბრალი შეიძლება განისაზღვროს როგორც მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება“⁵⁶.

სისხლის სამართლის კანონი აწესრიგებს ურთიერთობას მოსამართლესა და ბრალდებულს შორის, რომლის ძალითაც მოსამართლე ვალდებულია პირს დააკისროს სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო პროცესზე დადგინდება სისხლის სამართლის კანონის ჰიპოთეზით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. ამიტომ მხოლოდ სასამართლოს მიერ სასჯელის დაკისრების შემდეგ ვამბობთ, რომ დამნაშავემ ხელყო ესა თუ ის უფლება, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციით. ანუ მან დაარღვია არა სისხლის სამართლის კანონი, არამედ კანონი, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღმა არსებობს და ეს არის კონსტიტუცია, რომელიც ცნობს ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებს. ამრიგად, სისხლის სამართლის კანონი არის მოსამართლის ერთგვარი ქცევის წესი, რაც ავალდებულებს მას სასამართლოს წინაშე დასმული საკითხი განიხილოს ზედმიწევნით სწორად. აქედან გამომდინარე, სასამართლოსათვის (ასევე გამოძიების ორგანოებისათვის) ანგარიშგასაწევია კანონმდებლის ფაქტობრივი იურიდიული გზავნილები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის

⁵⁴გ. ტყემელაშვილი. განზრახ მკვლელობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია. თსუ 2019, გვ.11

⁵⁵ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ 2008, გვ.8.

⁵⁶გ. ნაჭყებია. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბილისი, 2001, გვ.260.

ფუნდამენტალური უფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების შემთხვევებს და ქმედების შეფასებისას მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ იმ ფაქტორს, რომ განსახილველი ხასიათის დანაშაულობებს გააჩნია გამაერთიანებელი ნიშნები, რომლის უკულებელყოფა ვერ მიგვიყვანს ქმედების სწორად შეფასებამდე, მით უმეტეს, დღევანდელი კანონმდებლობით სრულყოფილადაა რეგლამენტირებული პასუხისმგებლობა ასეთი ქმედებებისათვის⁵⁷.

ამ ფონზე უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვავო მითვისება ქურდობისაგან. მითვისების დროს პირი ეუფლება ნივთს, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე იყო მის მართლმომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში. ქურდობის დროს კი ამსრულებელს არავითარი კავშირი არ აქვს ნივთთან, რომელსაც ის ეუფლება.

ცხოვრებაში ადგილი აქვს მრავალ რთულ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებას ქმედების კვალიფიკაციისას. მაგ., პირს დაავალეს გარკვეულისამუშაოს განხორციელება და ამის გამო მას ნივთთან გარკვეული დამოკიდებულებისსაშუალება ეძლევა. ასეთ პირებს შეიძლება მივაკუთვნოთ კომბაინერი, რომელიც იღებს მოსავალს, ტრაქტორისტი, რომელსაც გადასცეს ხორბალი დასათესად, წარმოების მუშა, პორტში მომუშავე მზიდავი, მძღოლი, რომელსაც არ გააჩნია ექსპედიტორის ვალდებულება და ა.შ. მათ მიერ ნივთის ფარული დაუფლება იქნება ქურდობა და არა მითვისება. ასევე ქურდობად უნდა ჩაითვალოს ფარდების კარნიზის მოხსნა, თანჯრის ჩარჩოების და კარების მოხსნა, მაგრამ იმავე ბინიდან დამქირავებლის მიერ სხვა ნივთების გატანა გაყიდვის მიზნით წარმოადგენს მითვისებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. ქურდობის დროს მიზანი აბსტრაქტულია. ქურდმა წინასწარ არ იცის მისათვისებელი ნივთის თავისებურება, მოცულობა და ა.შ. მითვისების დროს კი მიზანი ყოველთვის დაკონკრეტებულია. ეს ტიპური განსხვავებაა. თუმცა არაა გამორიცხული, რომ ქურდმა იცოდეს, რას იპარავს.

⁵⁷გ. ტყემელაშვილი. განზრახ მკვლელობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია, თსუ 2019. გვ. 13-14

რაც შეეხება მითვისების გამიჯვნას თაღლითობისაგან აუცილებელია აღინიშნოს თვით დანაშაულებრივი ქმედების ბუნება, რომ თაღლითობა მითვისებისაგან განსხვავებით გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით. მითვისების დროსაც ადგილი აქვს მოტყუებას. მაგალითად, როდესაც სანყობის გამგე აყალბებს დოკუმენტაციას ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. თაღლითობის ამსრულებელი ეუფლება ნივთს, რომელიც მის მართლმომიერ მფლობელობაში არ არის. ეს ნივთი წარმოადგენს სხვის საკუთრებას და თაღლითი ცდილობს მოტყუების გზით დაიყოლიოს დაზარალებული, რათა მან “ნებაყოფლობით” გადასცეს სასურველი ნივთი. აქ ხაზი უნდა გაუკეთდეს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ნივთი არ იმყოფება ამსრულებლის მართლმომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში. პირიქით, თაღლითი მიისწრაფვის იმისკენ, რომ მოტყუებით ჩაიგდოს ხელში ნივთი და მიისაკუთროს.

მითვისებისა და თაღლითობის გამიჯვნასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები. ზოგჯერ თაღლითობის შემთხვევას არასწორად ეძლევა მითვისების კვალიფიკაცია. სანიშნოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ი.ბ-ურის და სხვების საქმე.2004-2005 წლებში ...-ის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს დაფინანსების სპეციალური პროგრამით გამოეყო თანხები. “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ...-ის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს არ ჰქონდა უფლება, თავისი ძალებით ჩაეტარებინა სამშენებლო, სარემონტო, გამწმენდი სამუშაოები და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ჩარიცხვა არ ხორციელდებოდა უშუალოდ სამმართველოს ანგარიშზე. ი.ბ-ურმა, თ.კ-ურმა და ქ.ტ-შვილმა ამავე სამმართველოს უფროსთან ჯ.კ-ურთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხების მითვისება.

როგორც ხსენებული მოცემულობიდან ირკვევა, სამელიორაციო სისტემის სამმართველოს უფროსმა შესასრულებელი სამუშაოების საწარმოებლად ხელშეკრულებები გააფორმა ფიზიკურ პირებთან, რომლებიც შემდგომში

დარეგისტრირდნენ საგადასახადო ინსპექციაში, როგორც გადამხდელეები. ბანკში მათ ანგარიშებზე ბიუჯეტიდან ირიცხებოდა თანხები, რომლებიც მათ გამოჰქონდათ და აძლევდნენ სამმართველოს უფროსს ჯ.კ-ურს. ამ უკანასკნელს დახმარებას უწევდა ი.ბ-ური, რომელიც მუშაობდა სამელიორაციო სისტემის სამმართველოში და იმავდროულად იყო შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის წევრი. ი.ბ-ური არ ამოწმებდა ჩატარებულ სამუშაოებს და ადასტურებდა დოკუმენტაციას, სადაც ფიქტიურად განხორციელებული სამუშაო ფიქსირდებოდა, როგორც რეალური.

ჯ.კ-ურს ასეთივე დახმარებას უწევდა თ.კ-ური, რომელიც მუშაობდა ...-ის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ისიც დებდა ფიქტიურ ხელშეკრულებებს ფიზიკურ პირებთან და გამოტანილი თანხები მიჰქონდა ჯ.კ-ურთან.ჯ.კ-ური დაკავშირებული იყო აგრეთვე ...-ის სამელიორაციო სისტემის სამმართველოს მთავარი ბუღალტერ ქ.ტ-შვილითან. რომელმაც არასრულყოფილად შედგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩამოწერა მითვისებული თანხები.გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განაჩენით ი. ბ-ური, თ. კ-ური და ქ.ტ-შვილი გამართლდნენ 182-ე მუხლის სამივე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ხოლო ი.ბ-ური ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია). ი.კ-ური ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342 მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით (2006წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია). ქ.ტ-შვილი გამართლდა 182-ე მუხლის სამივე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლომ მართებულად მოუხსნა ი.ბ-ურს და თ.კ-ურს მითვისებისათვის წარდგენილი ბრალდება, რადგან, როგორც განაჩენშია აღნიშნული, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონი აღნიშნულ პირებს თანხების განკარგვის უფლებას არ აძლევდა. ქმედების კვალიფიკაცია შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის

342-ე და 362-ე მუხლებით. სასამართლომ დამნაშავეთა ქმედებაში რატომღაც ვერ დაინახა თაღლითობის ნიშნები, უფრო ზუსტად კი – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობისა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თაღლითური ჯგუფის ორგანიზატორი სამელიორაციო სისტემის სამმართველოს უფროსი ჯ.კ-ური საქმეში არსად ფიგურირებს. მეტიც, არ ფიგურირებენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ფიქტიურად დარეგისტრირდნენ, როგორც გადასახადის გადამხდელები და ცრუ მენარმეობის გზით მიღებულ თანხებს იყოფდნენ ჯ.კ-ერთან ერთად. რაც შეეხება ბუღალტრის ქმედებას, 342-ე მუხლით კვალიფიკაცია საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან ბუღალტერს გააჩნდა თანხების განკარგვის უფლებამოსილება და ამიტომ საბრალდებო დასკვნით მისი ქმედება სწორად იყო კვალიფიცირებული 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა”, “ბ”, “გ” და “დ” ქვეპუნქტებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენით ჩემი ზარით არასწორად შეიცვალა დამნაშავეთა ქმედების კვალიფიკაცია. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საბრალდებო დასკვნის პოზიცია ჯგუფის წევრთა ქმედების სსკ-ის 182-ე მუხლით კვალიფიკაციის შესახებ. თ.კ-ური ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია); ი.ბ-ურის ქმედება საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტზე. მას მსჯავრი დაედო ასევე სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია). ე.ტ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის #1870-აპ განჩინებით სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა ძალაში. მითვისებისა და თაღლითობის გამიჯვნის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ა.ბ-ძის საქმის განხილვა იმისათვის, რომ არსებითად გავერკვეთ საქმის ვითარებაში, თავდაპირველად უნდა გამოვყოთ ა.ბ-ძის საქმიანობის პერიოდები:

2000 წლის 24 მაისიდან ა.ბ-ძე მუშაობდა ...-ის რაიონის გამგებლად, ხოლო 2003 წლის დეკემბერში გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და განაგრძობდა დანაშაულის ჩადენას, როგორც კერძო პირი. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ამიტომ საქმის ვითარებას ჩვენ განვიხილავთ ა.ბ-ძის საქმიანობის ხსენებული პერიოდის მიხედვით.

განვიხილოთ ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც ეხება პირველ პერიოდს. როგორც საქმიდან ჩანს, ა.ბ-ძემ, 2000 წლის 24 მაისიდან მუშაობდა რა ...-ის რაიონის გამგებლად, გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას “სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ” კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად, “სახელმწიფო ქონებას განკარგავს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან შესაბამისი ორგანო” და 2000 წლის 25 დეკემბერს გამოსცა განკარგულება ...-ის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის – ო.ნ-შვილის თავჯდომარეობით კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა შეესწავლა ...-ის რაიონის ტერიტორიაზე გამავალი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ...-ის მერძევეობა-მებოსტნეობის მიწების მექანიკური მორწყვის სისტემის დაუმთავრებელი მშენებლობის დემონტაჟისა და მასში არსებული დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი მიწებისა და სხვა მასალების შემოსავალში აღებისა და მათი რეალიზაციის საკითხი. ... რაიონის გამგეობამ, და მათ შორის ა.ბ-ძემ, გაიზიარა ხსენებული კომისიის რეკომენდაცია მორწყვის სისტემის, რომლის განკარგვის უფლება არ გააჩნდა, დაშლა-რეალიზაციის ნაწილში და 2001 წლის 10 იანვარს გამოსცა დადგენილება სარწყავი სისტემის დაუმთავრებელი მშენებლობის ჩამოწერისა და მიწების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ბიუჯეტში შეტანის შესახებ, რაც თავის თანამზრახველს – ო.ნ-შვილს დაავალა. ამ უკანასკნელმა, ა.ბ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, შპს “...-სა” და ინდივიდუალურ საწარმო “...-თან” დადებული, სახელმწიფოსათვის წამგებიანი ხელშეკრულების საფუძველზე ...-ის მერძევეობა-მებოსტნეობის მიწების მექანიკური მორწყვის სისტემის დაუმთავრებელი მშენებლობის 4350 მ სიგრძისა და 630 მმ დიამეტრის, 217500 ლარად ღირებული, ცენტრალური მაგისტრალის ვარგისი ლითონის მიწები 2001 წლის იანვარ-მაისის

პერიოდში 28000 ლარად გაყიდა ჯართის სახით, ხოლო 5050 ლარად ღირებული, 150 მმ-იანი, 1010 მ პოლიმერული მილი 808 ლარად მიჰყიდა თ.ფ-ძეს, იმავე სახით, 5000 ლარად ღირებული, 1000 მ სიგრძის მილი 800 ლარად კ. კ-ძეს. 29608 ლარის ოდენობის თანხა შეტანილი იქნა ბიუჯეტში.

აღნიშნული ქმედებით ა.ბ-ძემ, ო.ნ-შვილთან წინასწარი შეთანხმებით, გაფლანგა 197942 ლარის სახელმწიფო ქონება, გაანადგურა ...-ის მერძვეობა-მეზოსტენობის მიწების მექანიკური მორწყვის დაუმთავრებელი მშენებლობა, რითაც არსებითად დაარღვია სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ა.ბ-ძემ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების მიზნით, 2003 წლის. 30 იანვარს ...-ის რაიონის გამგეობის ბუღალტრის ი.ხ-იას მოტყუებით, თითქოსდა გამგეობის კაპიტალური ხარჯებისათვის, კერძოდ კი სამსახურებრივი ავტომანქანის შესაძენად, 9880 ლარზე შეადგენინა სახაზინო დავალება, რომელიც თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დაადასტურა და წარადგინა ...-ის რაიონის საფინანსო განყოფილებაში. თავის მხრივ, მითითებული დავალების საფუძველზე, რაიონის საფინანსო განყოფილებაში გამოიწერა საფულე ჩეკი ... ს/ს “სახალხო ბანკის” ...-ის ფილიალიდან 9880 ლარის გამოტანის თაობაზე, მაგრამ ბანკში ნაღდი ფულის ერთეული არ აღმოჩნდა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ა.ბ-ძემ ...-ის საგადასახადო ინსპექციის უფროსს – ა.ა-ძეს დაავალა, რომ ბიუჯეტში შესატანი თანხიდან 9880 ლარი სალარო ოპერაციების გვერდის ავლით მისთვის გადაეცა, რათა თითქოსდა ...-ის რაიონის გამგეობისათვის შეეძინათ სამსახურებრივი ავტომანქანა. ა.ბ-ძემ შეასრულა გამგებლის დავალება, ხოლო გამგეობის ბუღალტერიაში დაფიქსირდა, რომ მითითებული თანხა გაიცა ა.ბ-ძის მძღოლზე – მ.გ-ძემ. ა.ბ-ძემ საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მისაღებად, ბოროტად გამოიყენა რა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ქონება – 9880 ლარი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ვინაიდან ...-ის გამგეობის ბუღალტერი ი.ხ-ია სისტემატურად სთხოვდა ა.ბ-

ქვს 9880 ლარის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტს, ეს უკანასკნელი დარწმუნდა, რომ მხილებული იქნებოდა დანაშაულის ჩადენაში, ამიტომ განიზრახა, მითითებული თანხით რაიონის გამგეობის მიერ შექმნილად ეჩვენებინა 2000 წლის 8 ივლისს მის მიერ 2350 აშშ დოლარად შექმნილი, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ტემრიუკის საგზაო პოლიციაში რეგისტრირებული, 1998 წელს გამოშვებული “გაზ-3110” მოდელის ავტომანქანა, რომელიც 2001 წლის გაზაფხულზე მოიხსნა აღრიცხვიდან რუსეთის ფედერაციაში, ხოლო ა.ბ-ძე კი განბაჟების გარეშე ექსპლუატაციას უწევდა მას. ვინაიდან განბაჟების გარეშე იგი ავტომანქანას ...-ის რაიონის გამგეობის სახელზე ვერ დაარეგისტრირებდა და ასეთ შემთხვევაში მითვისებული 9880 ლარიდან მოუწევდა განბაჟების თანხის გადახდა, განიზრახა, ყალბი დოკუმენტების შედგენითა და ოფიციალურ დოკუმენტში ჩანაწერის შეტანით წარმოეჩინა, რომ თითქოსდა მითითებული ავტომანქანა თავიდანვე საქართველოში იყო რეგისტრირებული. ამ მიზნით ა.ბე-ძემ მოიპოვა აფხაზეთის ა/რ შს სამინისტროს სარაიონთაშორისო საგამოცდო სარეგისტრაციო განყოფილების მიერ 1990 წელს გაცემული “გაზ-2410” მოდელის ავტომანქანის ტექპასპორტი, რომელიც 1993 წლის 26 აპრილს შეტანილი ცვლილებების თანახმად, ეკუთვნოდა აფხაზეთის ა/რ ქ. გალში, ... მცხოვრებ ვინმე ლ. მ-იას. 2003 წლის 7 თებერვალს ა.ბ-ძემ, ისარგებლა რა თავისი ნაცნობის, ინდივიდუალური საწარმო “ა...-ის” აუდიტ ა.გ-ძის ნდობით, მოატყუა იგი და საბუთების წარდგენის გარეშე დაარწმუნა, რომ მისი კუთვნილი “გაზ-3110” ეკუთვნოდა ლ. მ-იას და სთხოვა მისი მაქსიმალური ღირებულებით შეფასება. ა.ბ-ძის სიტყვების რეალობაში დარწმუნებულმა ა.გ-ძემ ა.ბ-ძის მიერ წარდგენილი “გაზ-3110” მოდელის ავტომანქანა აუდიტორულ დასკვნაში ლ.მ-იას საკუთრებად დააფიქსირა და მის ღირებულებად 7900 ლარი მიუთითა.

ვინაიდან ტექნიკურ პასპორტში ლ.მ-იას სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანის მოდელი – “გაზ-2410” არ შეესაბამებოდა ა.ბ-ძის კუთვნილი ავტომანქანის მოდელს – “გაზ-3110”-ს, ა.ბ-ძემ 2003 წლის 10 აგვისტოს ყალბი დოკუმენტების დამზადებისაკენ წააქეზა თავისი ნაცნობი, შპს “...-ის” დირექტორი გ.ბ-შვილი, რომელსაც შეადგენინა 2003 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული

ყალბი ცნობა-ანგარიში, რომლის თანახმად, თითქოსდა ...-ის რაიონის გამგეობამ 150 ლარად შპს "...-დან" შეიძინა "გაზ-3110" მოდელის ავტომანქანის ძარა, მისი შასისა და გამოშვების თარიღად მიუთითა ა.ბ-ძის კუთვნილი ავტომანქანის ძარის გამოშვების წელი – 1998 წელი და საიდენტიფიკაციო ნომერი. ა.ბ-ძემ ...-ის რაიონის გამგეობის მიერ ავტომანქანის ძარის შეძენის დასადასტურებლად ცნობა-ანგარიშზე თავისი მძღოლის მ.-ძის ნაცვლად მოაწერა ხელი. იმ მიზნით, რათა წარმოეჩინა, რომ ...-ის გამგეობის მიერ ლ. მ-გან შეძენილი "გაზ-2410" მოდელის ავტომანქანის ძარა, სავალი და სხვა ნაწილები გადაწყობილი იქნა შპს "...-ში" შეძენილ "გაზ-3110" მოდელის ძარაზე, ა.ბ-ძემ განაგრძო სიყალბეთა ჩადენა და ლ.მ-იას სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანის ტექნიკურ პასპორტში ძარის ნომერში მეოთხე ციფრი – ნული – მიხატვის გზით გადააკეთა ხუთად, ხოლო მეექვსე ციფრი – ექვსი – ცხრად, რითაც შესაბამისობაში მოიყვანა თავისი კუთვნილი ავტომანქანის ძარის ნომერთან. ყალბი მონაცემების შემცველი ტექნიკური პასპორტის საქართველოს შსს აფხაზეთის სსგ ქუთაისის განყოფილებაში წარდგენით, ე.ი. მისი გამოყენებით ა.ბ-ძემ შეძლო, ვანის რაიონის გამგეობის სახელზე მოეხსნა ლ.მ-იას სახელზე რეგისტრირებული "გაზ-2410" მოდელის ავტომანქანა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ა.ბ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,362 მუხლის 1-ლი ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, 341-ე მუხლით, 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "გ", "დ" ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით. როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო ინსტანციამ ა.ბ-ძის ქმედების კვალიფიკაცია დატოვა უცვლელად. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე მითითება დავას არ იწვევს, რადგან ა.ბ-ძე და ო.ნ-შვილი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ, თუმცა ა.ბ-ძის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა წრე იცვლებოდა (შპს "...-ას" დირექტორი, ინდემწარმე "...-ს" და საგადასახადო ინსპექციის უფროსი – ა.გ-ძე). ა.ბ-ძის ქმედება ასევე შეიცავს ამავე მუხლის მეორე

ნაწილის “დ” ქვეპუნქტით (მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) გათვალისწინებული კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებს, რადგან მას ეკავა თანამდებობა და იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას. რაც შეეხება სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით ქმედების კვალიფიკაციას, იგი არასწორად უნდა ჩაითვალოს. ა.ბ-ქმ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ამასთანავე გადაამეტა ამ უფლებამოსილების ფარგლებს ნივთის მითვისების მიზნით, მაგრამ ამ ქმედებას მოიცავს 182-ე მუხლის მეორე ნაწილის “დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა და ამიტომ დამატებით 332-ე და 333-ე მუხლებზე მითითება საჭირო არ არის.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი შეცდომა, რომელიც სასამართლომ დაუშვა ქმედების კვალიფიკაციისას. სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი (მითვისება, ჩადენილი დიდი ოდენობით) მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას (მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). ამიტომ კვალიფიკაციისას ამ უკანასკნელზე მითითება ზედმეტია. ზემოთქმული ეხება ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას, ა.ბ-ძის გამგებლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. 2003 წლის 9 დეკემბერს ა.ბ-ქმ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. განაგძო რა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვა, მან ასლგადამღები აპარატის მეშვეობით გადაიღო ავტომანქანის სარეგისტრაციო მონუმობისა და ავტომანქანის აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე შს სამინისტროს აფხაზეთის სსკ ქუთაისის განყოფილების მიერ გაცემული ერთობლივი განცხადების ასლები, რომელშიც მონაცემთა გაყალბების, ანუ “გაზ-2410” მოდელის ავტომანქანის გამოშვების წლის აღმნიშვნელ ციფრზე მიხატვის გზით ავტომანქანის გამოშვების წლად 1998 მიუთითა.

2003 წლის 22 დეკემბერს გამოიყენა რა აღნიშნული ყალბი დოკუმენტები, მათი წარდგენით შეცდომაში შეიყვანა ნოტარიუსი ნ.ლ-ქმ, რომელმაც გაათვორმა ვინმე ლ.მ-იასა და ა.ბ-ქმს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელშიც ნასყიდობის საგნად, გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, მიუთითა 1998 წელს გამოშვებული “გაზ-2410” მოდელის ავტომანქანა. 2003 წლის 29 დეკემბერს ა.ბ-ქმ იმ მიზნით, რათა წარმოეჩინა, რომ თითქოსდა 2003 წლის 30 იანვარს მის მიერ

მითვისებული 9880 ლარით მან ვინმე ლ.მ-გან შეიძინა “გაზ-2410” მოდელის ავტომანქანა, რომელიც გადააწყვეს შპს “...ში” შეძენილ “გაზ-3110” მოდელის ავტომანქანის ძარაზე, ...-ის გამგეობაში გადააგზავნა, ანუ გამოიყენა უკვე აღნიშნული ყალბი მონაცემების შემცველი დოკუმენტები: 2003 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული #70 ერთობლივი განცხადების, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის, შპს “...დან” “გაზ-3110” მოდელის ავტომანქანის ძარის შესყიდვის დამადასტურებელი ცნობა-ანგარიშის ასლები, აუდიტ ა.გ-ის აუდიტორული შეფასება და ნოტარიუს ნ.ლ-ის მიერ დარეგისტრირებული ა. ბ-ისა და ლ. მ-იას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.⁵⁸

სასამართლომ ზემოთ მოტანილი კვალიფიკაცია თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ჩადენილ ქმედებებზეც გაავრცელა, რითაც დაუშვა შეცდომა. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან ა.ბ-მ აღარ მოქმედებს როგორც მოხელე, ის არის კერძო პირი. ამ პერიოდიდან იგი ახორციელებს თაღლითობის შემადგენლობას. ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის სურათი იცვლება, რადგან ყალბი დოკუმენტის გამოყენებას მოიცავს თაღლითობის შემადგენლობა. ამიტომ სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მას არ უნდა შეერაცხოს. თუ პირმა განაგრძო თანამდებობაზე ყოფნისას და მის შემდეგ დოკუმენტის გაყალბება, მაშინ ქმედება დაკვალიფიკირდება დანაშაულთა ერთობლიობით. სამწუხაროდ, ეს საკითხი ყველა სასამართლო ინსტანციის ყურადღების მიღმა დარჩა.

განვასხვავოთ მითვისება მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისაგან: 185-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ქონებრივი ზიანის მიყენება მოტყუებით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით; სახელდობრ: ბაჟისა და სხვა სავალდებულო გადასახადის გადაუხდელობასა ან არასრულ გადახდაში ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ; უძრავი ქონების შეძენაზე გარიგებისას ფაქტობრივი ღირებულების შემცირებაში; ყალბი დოკუმენტების წარდგენით დასაბეგრი ქონების შემცირებაში; ელექტრო, გაზის და

⁵⁸საქ. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 10.11, N178 განჩინება

წყლის მრიცხველის მაჩვენებლების განზრახ დამახინჯებაში; ვაგონის გამცილებლის მიერ უბილეთო მგზავრისაგან ან საერთოდ ტვირთის გადაზიდვისათვის ფულის აღებასა და ა.შ.⁵⁹ ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობას, რაც აუცილებელია მითვისებისათვის. მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. 2002 წლის 17 ოქტომბერს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო მ-ი მასზედ, რომ მან სხვისი მოძრავი ნივთი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, გაფლანგვა (სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და მოტყუებით დააზიანა (სსკ-ის 185-ე მუხლი 1-ლი ნაწილი). საქმის მასალებით დადგინდა შემდეგი: 2000 წლის ოქტომბერში მ. მუშაობდა თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურში მძღოლად, მას სადგურის ტერიტორიიდან ნაგვის გასატანად გადასცეს თვითმცლელი ავტომანქანა “ზილი”, რომელიც აღჭურვილი იყო ბუნებრივი აირის სანვავი აპარატურით. მ-მ 2001 წლის მარტში ავტომანქანიდან მოხსნა, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა და გაფლანგა შემდეგი ნაწილები: აირის აპარატის აირბალონები, ღირებული 1020 ლარად; აკუმულატორი, ღირებული 150 ლარად; სანვავის ავზისა და კარბურატორის შემაერთებელი მილი, ღირებული 9 ლარად; სამი საბურავი თავის დისკებით, ღირებული 630 ლარად; მარჯვენა და მარცხენა მოხვევის მაჩვენებელი ფარები, ღირებული 6 ლარად; სულ 1806 ლარის ნივთები. განაჩენით მ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ სხვისი ნივთი დააზიანა მოტყუებით. კერძოდ, აირის აპარატისა და 7 ბალონის მოხსნის შემდეგ ავტომანქანამ მიიღო მნიშვნელოვანი დაზიანება და მის აღდგენას 250 ლარი სჭირდებოდა. ამდენად, სასამართლომ მ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 185-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მოტანილ საქმესთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს ნ.თოდუა, რომ მ-ს ქმედების საქართველოს სს კოდექსის 185-ე მუხლით დაკვალიფიცირება უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავე ეუფლება იმ ნივთს, რომელიც უნდა გადაეცა მესაკუთრისათვის. ამდენად, ამ

⁵⁹ზ.წულაია. სისხლის სამართალი, კერძო ნაწ., თბ., 2001, გვ. 114

დანაშაულის განხორციელებისას ქონებრივი ზიანი გულისხმობს სარგებლის მიუღებლობას, მაგრამ მესაკუთრის ხელში რეალურად არსებული ქონებრივი ფონდი არ მცირდება. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში კი მ-ს ქმედებით დაზიანდა სხვისი ავტომანქანა “ზილი”. სასამართლოს შეეძლო ემსჯელა მ-ს ქმედებაში სხვისი ნივთის განზრახ (187-ე მუხლი) ან გაუფრთხილებლობით (188-ე მუხლი) დაზიანების შემადგენლობის არსებობაზე, მაგრამ, ვინაიდან განაჩენით სასამართლომ 1806 ლარის ღირებულების ნივთი არ ჩათვალა მნიშვნელოვან ზიანად, ასეთ შემთხვევაში მანქანის შეკეთებისათვის საჭირო 250 ლარი, მით უმეტეს, არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზიანად. ამიტომაც მ-ს ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს 182-ე მუხლთან ერთად 187-ე ან 188-ე მუხლების ერთობლიობით. მ-ს ქმედება სასამართლოს უნდა დაეკვალიფიცირებინა 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.⁶⁰

სავსებით ვეთანხმებით ნ.თოდუას პოზიციას, რომ მ-ს ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლით დაკვალიფიცირება შეცდომაა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მოტანილი შემთხვევის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირებას. რომ არა მ-ს სამსახურებრივი მდგომარეობა (იგი მუშაობდა თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურში მძღოლად), ავტომანქანა მის მართლზომიერ მფლობელობაში არ იქნებოდა. ამიტომ მ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” ქვეპუნქტით და არა ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით. მოვიშველიებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაშია მოტანილი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტაქსის მძღოლმა დღის ბოლოს ტაქსის მრიცხველზე დაფიქსირებული თანხა ბუხჰალტერიაში კი არ ჩააბარა, არამედ თვითონ მიითვისა. აქ ადგილი აქვს მითვისებას და არა სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით). დანესებულების მოლარემ ბანკიდან სათანადო დოკუმენტზე ხელის მონერის შემდეგ აღებული თანხა არ მიიტანა ამ დანესებულების სალაროში, არამედ სახლში წაიღო და მისაკუთრა. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს სხვისი მოძრავი ნივთის მითვისებას.⁶¹ ზოგჯერ ხდება ისე, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი სჩადის ორ

⁶⁰სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკ. დანასაული), თბ., 2004, გვ. 169-170

⁶¹იქვე.168

დანაშაულს, კერძოდ, სხვის ქონებას აზიანებს მოტყუებით, ხოლო შემდეგ კი ითვისებს მას. ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით: სსკ-ის 185-ე, და 182-ე მუხლებით.⁶²

კვლევის შედეგები

თითოეული დანაშაული ხასიათდება თავისი განსაკუთრებულობით, რაშიც იგულისხმება ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელსაც გააჩნია ინტელექტუალური ნების შესაბამისი და ემოციური კომპონენტები⁶³.

განსახილველი საკითხის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. ქონებრივი დანაშაულები წარმოგვიდგებიან რიგი საერთო სოციალური და ფსიქოლოგიური მსაზღვრელებით. ეს გარემოება გვევლინება ახალი კრიმინოლოგიური სიტუაციის დამატებით ნიშნად, რადგან იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოხატავს დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქოსოციალურ სურათს⁶⁴.
2. კვლევამ ცხადყო, რომ დევანდელი საზოგადოება არაა მზად, რომ შეურიგდეს ლიბერალურ საკანონმდებლო მოცემულობას სასჯელის ჭრილში თუნდაც იმ პირობებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია ქონების წინააღმდეგ, რადგან სახეზეა შედეგი მატერიალური ზიანის სახით.

⁶²იქვე. 172

⁶³თ. წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, კავკასიური სახლი, თბილისი 2006, გვ. 69.

⁶⁴Д.А. Корецкий, Е.С. Стешич. Проблема оценки тяжести неосторожных преступлений, связанных с лишением жизни. Всероссийский криминологический журнал. 2017. Т. 11, №4. С.681.

3. მნიშვნელოვანია დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის სიდიდე იმდენად, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია დანაშაულებრივად ხელყოფილი სიკეთე, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხი, რადგან ფაქტობრივად კანონმდებლის გადანყვეტილებით (მხედველობაში ვიღებ ასეთი დანაშაულისათვის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახესა და ზომას) ერთგვარად უსაფუძვლოდაა გაუფასურებული პიროვნების ქონებრივი უფლებები.
4. არადამაჯერებლად გამოიყურება კანონმდებლის ორიენტაცია ბრალის ფორმაზე, როდესაც ერთდორულად იგნორირებულია დანაშაულის შედეგი და ადგილი, კანონმდებლობით დაცულ სიკეთეთა, ინტერესთა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა იერარქიაში, რომელიც პირველ რიგში განაპირობებს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს “.
5. ვფიქრობ, რომ კანონმდებლის დამოკიდებულება აღნიშნულ კონკრეტული დანაშაულის დასჯადობის მიმართ. არის მეტად ლოიალური და ლიბერალური.
6. შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ ჭრილში არსებული პრობლემები თეორიულად გადაჭრილი არ არის სრულად; გამოკვლევების უმრავლესობა მიმართულია დანაშაულების ცალკეული სახეების შესწავლისკენ, რის გამოც კარგი იქნება, თუ მოხდება საკითხის კომპლექსური შესწავლა.

დასკვნა

ნაშრომში „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის“ კვლევამ გამოავლინა მითვისების დანაშაულის არსი და მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ამასთან განსაზღვრა ახლებური ხედვა და გადაწყვეტის გზები არსებულ მიგნებებთან მიმართებით. ნაშრომში განხილულია მითვისების დანაშაულის მომზადების მნიშვნელობა და კრიტერიუმები. მითვისების დანაშაულის საგანია, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონება, რომელსაც დამნაშავე მესაკუთრის ქონებრივი ფონდიდან გამოყოფს და პირად ქონებასთან აერთიანებს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითვისება მოქმედებით ჩასადენ დელიქტად არის განხილული, რაც უმოქმედობით აღნიშნული დანაშაულის ჩადენას გამორიცხავს.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომსაქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მითვისებას და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას განსაზღვრავს

ეკონომიკურ დანამაულთა კატეგორიაში, აღნიშნულ დანამაულთა შორის ფორმალური და თეორიული გამიჯვნა პრობლემას არ ქმნის, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მათი დიფერენცირების სირთულე. აქედან გამომდინარე ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ სამართლებრივი საკითხის დეტალურად და სიღრმისეულად განხილვა, რის გამოც პირველ რიგში, შევეცადე განმესაზღვრა მითვისებასა და ფულის გათეთრებას შორის ფორმალური გამიჯვნის საკითხი, ხოლო შემდგომ მისი პრაქტიკული გადაწყვეტა.

სახეზეა, რომ საკუთრება, როგორც სოციალური და ეკონომიკური მოვლენა არის ტრიადა იმ სამი უზარმაზარი ფენომენისა, რომელიც ფლობის, გამოყენების, განკარგვის კატეგორიებს აერთიანებს. საკუთრების სამართლებრივი რეგულირებისას ეს ურთიერთობა იძენს იურიდიულ ფორმას, რომლითაც კანონიერად დაცული და მონოლითური ხდება მესაკუთრის უფლებამოსილება მოძრავი და უძრავი ქონების ფლობასა და განკარგვაზე.

ძველისაგან განსხვავებით ახალმა კანონმდებლობამ ხელყოფისაგან დაცვის თვალსაზრისით გაათნაბრა საკუთრების ყველა ფორმა და მათი სამართლებრივი დაცვა ამ პრინციპულად აუსცილებელ მოვლენას თვით კონსტიტუციამ დაუდო საფუძველი.

საკუთრება, როგორც სოციალურ ეკონომიკური კატეგორია ყოველთვის მოიცავს საგნობრივ, მატერიალურ სფეროს, ხოლო საკუთრების უფლება ყოველთვის გულისხმობდა და გულისხმობს უფლებას ღირებულებით საგანზე, ამდენად დანამული, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული სწორადაა წოდებული ნივთობრივი, ქონებრივი დანამაულის სახელით.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანამაული, ბოლოვდება მისი განადგურებით ან დაუფლებით მითვისების მიზნით. განადგურების დროს დამნაშავეს მიზანი პიროვნების მატერიალური დაზარალებაა, ხოლო მითვისების დროს პირადი გამდიდრება. ეს მოქმედებანი ხორციელდება კანონსაწინააღმდეგოდ. მითვისებაში ყოველთვის იგულისხმება ნივთობრივ-თხილობრივი მისაკუთრება. ახალმა სისხლის სამართლებრივმა კანონმდებლობამ ქონების ნაცვლად შემოიტანა ნივთის ცნება და მითვისების საგნად

განსაზღვრავს მოძრავი ნივთი, რომელსაც შინაგანად გააჩნია ეკონომიკური თვისება და ღირებულება, როგორც მატერიალური სამყაროს გარკვეულ საგანს, რომელიც შეიცავს ნატურალურ, ფიზიკურ პარამეტრებს-მოცულობას, წონას, ოდენობას და ა.შ. ამიტომ ანგარიშითი დაუფლება იმ ღირებულებისა, რომელთაც ეს თვისებები არ გააჩნია არ ინოდება სხვისი ნივთის დაუფლებად.

ასე, რომ დაუფლების საგნად ითვლება მხოლოდ სასაქონლო მატერიალური ღირებულება-ნებისმიერი სახით და მდგომარეობით, რომელიც ფლობს ეკონომიკურ, მატერიალურ თვისებებს და ღირებულებას. დაუფლების საგნად ასევე ითვლება ფული, როგორც ღირებულების საყოველთაო ექვივალენტი, რადგან იგი არის განსაკუთრებული საქონელი და ნებისმიერი ქონების ღირებულების გამომხატველი.

მითვისების საგნად ითვლება ასევე ფასიანი ქაღალდები, რომლებიც წარმოადგენს ქონების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება სახელმწიფო ობლიგაცია, თმასუქი, ჩეკი, დეპოზიტური შემნახველი სალაროს სერტიფიკატები, კონოსამენტები, აქციები და ა.შ.⁶⁵

მითვისება ქონების უკანონოდ გადასვლაა ნამდვილი მეპატრონიდან დამნაშვის ხელში ისე, როგორც ყაჩაღობისა და ქურდობის დროს, მაგრამ ფორმით და მეთოდით სრულიად განსხვავებული. მთვარი ის არის, რომ თუ ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის დროს დამნაშვეს არავითარი კავშირი, მიდგომა, მფლობელობა და განკარგვის უფლება არ გააჩნია ქონებისადმი, ქონება მას აქვს მინდობილი მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში.

ქონების მითვისება მოქმედებაა, მაგრამ დამნაშავე ცდილობს, მისი მოქმედება შეუმჩნეველი იყოს.

ქონების მიმართ დამნაშავეს განსაზღვრული უფლებამოსილება გააჩნია, ე.ი. ქონების მესაკუთრის დავალებით თუ ხელშეკრულების ძალით ამ ქონების გამოყენების, დაცვის, ბრუნვის უფლება აქვს.

⁶⁵ ზ. მუჯანაძე, სისხლის სამართალი, თბ., 2000 წ. გვ. 167-169

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკუთრების დაცვა, რომელიც გვევლინება სახელმწიფოებრიობის ეკონომიკურ საფუძვლად, გვევლინება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, რაც ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამიტომ სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის, როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური მოთხოვნების მკაცრი დაცვა იმოქმედებს სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების განხორციელებაზე, რაც თავისთავად აამაღლებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს და გაამყარებს მას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გამომც. "მეცნიერება" თბ., 2003
2. გ.ტყეშელიაძე და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომც. "მერიდიანი" თბ., 2007
3. გ. ტყეშელაშვილი. განზრახ მკვლელობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია. თსუ 2019
4. გ. ნაჭყებია. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბილისი, 2001
5. ზ.წულაია, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. გამომც. "ინტელექტი" თბ., 2003.
6. ზ.მუჯანაძე, სისხლის სამართალი, თბ., 2000 წ.
7. თ. წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, კავკასიური სახლი, თბილისი 2006
8. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ 1, თბ., 2007

9. ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ 2008
10. მ. ტურავა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომცემლობა “ბონაკაუზა” თბილისი 2010
11. მ. ლევკვიციანი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. ”მერიდიანი” თბ., 2008
12. მ. ლევკვიციანი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის(კომენტარი). გამომც. ”მერიდიანი” თბ., 1999
13. ნ. თევდორაძე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის, თბ., 2012
14. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). გამომც. ”მერიდიანი” თბ., 2004
15. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკ. დანაშაული), თბ., 2004

უცხოური ლიტერატურა

16. Schmidt R. Strafrecht, Allgemeiner Teil. Grundlagen der Strafbarkeit. Aufbau des Strafrechtlichen Gutachten. 2 Aufl. Grasberg (bei Dremen). 2003
17. N. Kommentar. Prof.Dr. Urs Kindhauser, Rheinische Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Strafgesetzbuch. 3. Auflage. Zeite 783 . (Noak, Drittzueignungund 6. StrRG, 1999, 132 m.w.N.)
18. Комментарийк УКРФ. (подред. В.М. Лебедева).М. 2006.
19. Уголовное право зарубежных страно (особенная часть). М. <<Комрон>>. 2004. С. 413-417; Кузнецов И.Н. Систематизация законодательства в Италии. М. ВНИИСЗ. 1973.
20. Л.Д. Гаухман , С.В. Максимов, Преступления в сфере экономической деятельности. М. 1998. С. 17. Новое Уголовное право Россий. Часть особенная М. 1998. С. 147.Н.А. Лопошенко, Преступления в сфере экономической деятельности: понятие, система, проблемы квалификации и наказания. Саратов. 1997
21. И.Я. Фойницкий, Курс уголовного права. Часть особенная. СПб. 1907.
22. Уголовное право зарубежных Государство (особенная часть). М. <<Комрон>>. 2004.
23. Д.А. Корецкий, Е.С. Степич. Проблема оценки тяжести неосторожных преступлений, связанных с лишением жизни. Всероссийский криминологический журнал. 2017. Т. 11, №4.

სასამართლო პრაქტიკა

24. საქ. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 10.11, N178 განჩინება
25. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ. 1972. #4
ვებ.საიტები
26. www.lawmix.ru
27. www.allpravo.ru